გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 80
(11 537)

12 - 15 ოქტომბერი, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# „დინამო" პატრონს ჩაბარდა

ხალხმრავლობა იყო გუშინ დიღომში. „დინამოს" დიღმის საწვრთნელი ბაზის პრეზენტაციას, კლუბის ახალი მეპატრონის გამოჩენას ყველა ინტერესით ელოდა – ვეტერანი ფეხბურთელები, გულშემატკივრები, ჟურნალისტები. ყველაფერი დათქმულ დროს, 11 საათზე დაიწყო. ბაზას საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, მთავრობისა და სამინისტროების მაღალჩინოსანი წარმომადგენლები ეწვივნენ. გულდასმით დაათვალიერეს განახლებული შენობა, სავარჯიშო მინდვრები, შინაგან საქმეთა მინისტრისგან მოისმინეს ინფორმაცია კლუბში განხორციელებულ სიახლეებზე, გაწეულ მუშაობაზე, სამომავლო გეგმებზე. საქართველოს პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვა „დინამოს" ირგვლივ მიმდინარე ცვლილებებზე, მცირე ხნით ჟურნალისტებსაც გაესაუბრა. მერე კი შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ პრესკონფერენცია გახსნა და ჟურნალისტებს „დინამოს" ახალი პატრონი და ხელმძღვანელობა წარუდგინა.

ამიერიდან თბილისის „დინამოს" მფლობელი ბრიტანული კონსორციუმი „სპორტ ვორლდ პარტნერშიფი" იქნება. კლუბის უშუალო მყიდველი, როგორც ადრე იყო გაცხადებული, ოფშერული ფირმა „ჰეზერ ფართ ფოფერთი" ამ კონსორციუმის შემადგენელი ნაწილია – განმარტა კონსორციუმის კომერციულმა დირექტორმა ინგლისელმა პიტერ ბონდმა. „დინამოს" აქციათა 90 პროცენტის მფლობელმა განაცხადა, რომ კლუბთან ურთიერთობა „სუფთა ფურცელზე" დაიწყება. სრულიად შეიცვალა კლუბის კონსტიტუცია, გაუქმდა კლუბის პრეზიდენტის პოსტი, განახლდება ინფრასტრუქტურა და ყველა სიახლე მიმართული იქნება „დინამოს" დიდების აღსადგენად, კლუბი სრულყოფილების ცენტრად გადაიქცევა. „დინამოს" აღორძინებაში ცნობილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის როლზე, ვრცლად შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ ილაპარაკა. ბადრი პატარკაციშვილმა გადადგა პირველი ნაბიჯი კლუბის აღორძინებისთვის. დინამოს საბჭოს სწორედ მან გადასცა უპროცენტო კრედიტი, რომლის მეშვეობითაც გარემონტდა დიღმის საწვრთნელი ბაზა. იგი არ არის კონსორციუმ „სპორტ ვორლდ პარტნერშიფის" წევრი, თუმცა პიტერ ბონდის განმარტებით, „დინამოს" ახალ პატრონს მასთან კონტრაქტი ექნება და ითანამშრომლებს. კახა თარგამაძემ განაცხადა, რომ ბადრი პატარკაციშვილი საქართველოს მოქალაქეა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ რუს კოლეგებს სთხოვა გადმოგვცენ მისი საქმე, რაც მთავარია, იგი ინტერპოლის ძებნილი არ არის. მისდამი ბრალდება არ არსებობს. შინაგან საქმეთა მინისტრმა თქვა, რომ ამჟამად ყველა დანახარჯი, ვალი, სარემონტო სამუშაოები, საბიუჯეტო თანხები და ხელფასები 100 პროცენტით დაფარულია მიღებული თანხით. 6 თებერვლიდან 1 ოქტომბრამდე საბიუჯეტო თანხებით „დინამოს" მიერ სხვადასხვა იურიდიულ პირებთან ურთიერთობებისთვის დაიხარჯა 3 მილიონ 22 ათასი ლარი, შეკეთდა ბაზა, შეძენილია სხვადასხვა ინვენტარი, ქვეყნის ბიუჯეტს დაუბრუნდა მილიონ 100 ათასი ლარი.

კიდევ ერთი მთავარი საკითხი – საწვრთნელი ბაზა, რომელიც კლუბს იჯარით გადაეცემა აქციათა მფლობელი სპორტსაზოგადოება „დინამოა", ესე იგი, საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაა. იჯარის კონტრაქტით საზოგადოება ყოველთვიურად 10 000 ლარს მიიღებს. კახა თარგამაძემ დაწვრილებით ილაპარაკა კლუბთან დაკავშირებულ ფინანსურ საკითხებზე, მადლობა გადაუხადა ოპონენტებსაც და მხარდამჭერებსაც, სწორედ ჟურნალისტთა განუზომელი ინტერესიდან გამომდინარე შექმნილმა ვითარებამ დააჩქარა ის სასიკეთო ძვრები და სიახლეები, რაც „დინამოს", როგორც საფეხბურთო, ისე საკალათბურთო კლუბებში, მომავალში განხორციელდება.

პრესკონფერენციის ბოლოს „დინამოს" ახალმა ინვესტორმა და მეპატრონემ კონსორციუმ „სპორტ ვორლდ პარტნერშიფის" კომერციულმა დირექტორმა პიტერ ბონდმა მილიონი დოლარის ჩეკი გადასცა „დინამოს" კლუბის აღმასრულებელ დირექტორს გია ფირცხალავას. საქართველოში „დინამოს" კლუბის საქმიანობას უშუალოდ გაუძღვება კონსორციუმში შემავალი ფირმა „ჯორჯიან სპორტ პარტნერშიფი".

## ფილა-ს გადაწყვეტილებით

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა გუშინ გვამცნო, რომ ეს-ესაა დაუკავშირდა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციას (ფილა), სადაც საბოლოოდ უნდა დაედგინათ თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების დრო და ადგილი. შეგახსენებთ, რომ აშშ-ში დაგეგმილი ეს ჩემპიონატები გაურკვეველი ვადით გადაიდო.

„ახლა ყველაფერი დაზუსტდა. თავისუფალ ჭიდაობას უმასპინძლებს ბულგარეთი 30 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატი კი გაიმართება 6-9 დეკემბერს, საბერძნეთში" – გვითხრა ო. შოშიტაშვილმა.

## სამბისტები კრასნოიარსკში იასპარეზებენ

მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში მომავალ კვირაში გაიმართება (18-22.X) კრასნოიარსკში. პროგრამაშია, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შეხვედრები. თავიდან მოელოდნენ 39 ქვეყნის მონაწილეობას, რომელთაგან საბოლოო თანხმობა 25-მა გამოთქვა, მათ შორის საქართველომ, მაგრამ ფინანსური საკითხია მოსაგვარებელი. ჩემპიონატის დღეებში აირჩევენ საერთაშორისო ფედერაციის ახალ პრეზიდენტს. ამჟამად ეს პოსტი უჭირავს რუსეთელ მ. ტიხომიროვს.

საქართველოში დაწესდა „ოლიმპიური დღე" 2

4 ფეხბურთელთა ქართველი მწვრთნელი... ბრაზილიაში

ფედერაციების რეიტინგი სექტემბერში «ლელოს» ვერსიით






საქართველოს თასზე მოასპარეზე კლუბების საყურადღებოდ!

ფეხბურთში საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო შეხვედრები გაიმართება 16 ოქტომბერს, მატჩები 16 საათზე დაიწყება.




5

17 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი თბილისში

3

ჩემპიონთა ლიგა გადადებული მატჩები



ბარსელონა – ლიონი



ოლიმპიაკოსი – მანჩესტერი




სელტიკი – როზენბორგი

6



ცსკა – ფაკელი

ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

№401 2001 წლის 8 ოქტომბერი ქ. თბილისი

### „ოლიმპიური დღის" დაწესების შესახებ

საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში საქართველოს შემდგომი ინტეგრაციისა და ქვეყანაში ოლიმპიური იდეების პოპულარიზაციის მიზნით:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წინადადება და საქართველოში დაწესდეს „ოლიმპიური დღე".
2. „ოლიმპიური დღე" აღინიშნოს ყოველი წლის 6 ოქტომბერს.

ე. შევარდნაძე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის 2001 წლის 10 ოქტომბრის სხდომის დადგენილება საქართველოს „ოლიმპიური დღის" შესახებ (იხ. მე-2 გვ.)

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

**მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 10 თვე დარჩა**

SALT LAKE 2002

**ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 122 დღე გვაშორებს**

**8–24 თებერვალი 2002 წ.**

## მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის 2001 წლის 10 ოქტომბრის სხდომის დადგენილება

## საქართველოს „ოლიმპიური დღის“ შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის ბ-ნ ე. შევარდნაძის 2001 წლის 8 ოქტომბრის №401 ბრძანებულებით „ოლიმპიური დღის დაწესების შესახებ“, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების დღე 6 ოქტომბერი გამოცხადდა საქართველოს ოლიმპიურ დღედ და აღინიშნება ყოველი წლის 6 ოქტომბერს.

საქართველოს ოლიმპიური დღის დაწესებასთან დაკავშირებით,

სეოკ-ის აღმასკომი ადგენს:

1. სეოკ-ის აღმასკომი ღრმა პატივისცემას გამოთქვამს საქართველოს პრეზიდენტის ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის მიმართ სეოკ-ის თხოვნის მხარდაჭერისა და საქართველოს ოლიმპიური დღის დაწესების გამო.

საქართველოს ოლიმპიური დღის დაწესება ფართო შესაძლებლობებსა და სტიმულს იძლევა ქვეყანაში ოლიმპიური მოძრაობისა და ოლიმპიზმის პროპაგანდის, სპორტისა და მასობრივი სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის ფართოდ გაშლისა და წარმართვისთვის.

2. სეოკ-ის ქ. თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხარეო და რეგიონალურმა ორგანიზაციებმა სპორტულ ორგანიზაციებთან, ადგილობრივ მმართველობით, განათლების, კულტურის და სხვა ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტში გაატარონ საჭირო ღონისძიებანი საქართველოს ოლიმპიური დღის დაწესებასთან დაკავშირებით.

3. ვთხოვოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს, საქართველოს ოლიმპიური დღის დაწესებასთან დაკავშირებით, შესაბამისი რეკომენდაციები დაგზავნოს ქვეყნის სპორტულ ორგანიზაციებში.

4. სეოკ-ის პრესის სამსახურმა (კ. ბერიძე) მოამზადოს შესაბამისი მასალა საერთაშორისო ოლიმპიურ ორგანიზაციებში და ქვეყნის მასმედიაში საქართველოს პრეზიდენტის ბ-ნ ე. შევარდნაძის აღნიშნული ბრძანებულების ინფორმირების მიზნით.

## ბოლნისი სპორტული რაიონია

ბოლნისი თანდათან იბრუნებს მოწინავე სპორტული რაიონის სახელს და ამაში დიდია რაიონის გამგებლის, სპორტის მადლის დამფასებლის ზურაბ ჯაფარიძის წვლილი. ბოლო წლებში ნაბიჯ-ნაბიჯ დაგროვილი გამოცდილების გვირგვინად მოგვევლინა ამ დღეებში რაიონის ცენტრში გამართული დიდი სპორტული დღესასწაული სახელდებით: „შემოდგომის ბოლნისი“. ასობრივი, მიმზიდველი, მონაწილეთა და მაყურებლებით გაჭერებული გამოდგა შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, ძალოსნობაში, მკლავჭიდში, მაგიდის ჩოგბურთში, მაგიდის გადაძალვასა და ჭადრაკში. ღონისძიება ჩატარდა ბოლნისის კულტურისა და დასვენების პარკის განახლებულ მინიფეხბურთისა და კალათბურთის სარბიელზე. წინასწარ გამოიკრა ასპარეზობების მაუწყებელი აფიშები და პლაკატები, რეკლამა გადაიცემოდა ადგილობრივი ტელევიზიით. „შემოდგომის ბოლნისის“ დამაგვირგვინებელი აკორდი იყო ვეტერანთა მატჩი მინიფეხბურთში და „მხიარული სტარტები“ ასობით ბავშვის მონაწილეობით.

იმავე დღეს რაიონის გამგეობის მიერ დაწესებული სამახსოვრო საჩუქარი საზეიმოდ გადაეცა ევროპის პირველობის მეორე პრიზიორს თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის მალხაზ ქურდიანს. ცხადია, პრიზები და სიგელები გადაეცათ ღონისძიებაში განსაკუთრებულ თავგამოჩენილ სპორტსმენებს. ქართულ ჭიდაობაში ესენი იყვნენ: გურამ და გიორგი გიორგაშვილები, მკლავჭიდელი — პაწო საღლიანი, მაგიდის ჩოგბურთელი — ერიკ ერიმიანი, ძალოსანი — გოჩა კიკოლაშვილი, ბაგირის გადაძალვაში სოფ. ტანძიის საკრებულოს ნაკრები და სხვები.

რაიონის გამგებლის ზ. ჯაფარიძის თაოსნობით დაწესებული „შემოდგომის ბოლნისის“ სპორტული დღესასწაული ტრადიციად იქცევა და ყოველწლიურად ჩატარდება — ასეთი იყო მონაწილეთა და ათასობით მაყურებლის სურვილი.

მურთაზ კორძაძე,
ბოლნისის რაიონის
სპორტკომიტეტის თავმჯდომარე

# ჩემპიონები ისევ თოხაძეების შეგირდებია

გურამ თოხაძის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ღვაწლი ქართულ ჩოგბრთში კარგადაა ცნობილი. ამაგდარი მწვრთნელის ხელში თაობები აღიზარდა ლეილა მესხიდან დაწყებული დათო კაჭარავას ჩათვლით. ახლა კი ჯერი სხვათა წარმოჩენაზეა. უკვე რამდენიმე წელიწადია მამის გვერდით წარმატებით ეწევა სამწვრთნელო საქმიანობას მისი ქალიშვილი, ახლო წარსულში ცნობილი ჩოგბურთელი ეკა თოხაძე. ეკას რომ საბოლოოდ გადაუწყვეტია ემსახუროს ქართულ ჩოგბურთს, ისიც ადასტურებს, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სტუდენტი გახდა. დაუმატეთ ამას ისიც, რომ ეკა თოხაძემ წარმატებით გაიარა საგანგებო სემინარი, რომელიც საერთაშორისო ფედერაციამ ჩაატარა წლეულს თბილისში და ჩოგბურთის მწვრთნელის საერთაშორისო სერტიფიკატი მიიღო. მამა-შვილი თბილისის მერიის საჩოგბურთო სკოლაში მუშაობენ და ახლა ერთად აგრძელებენ ნიჭიერ ჩოგბურთელთა აღზრდა-დაოსტატებას. სხვადასხვა ასაკში დღეს მათი 8 შეგირდი საქართველოს ნაკრების კანდიდატია.



*თათია მიქაძეს გამარჯვებას ულოცავს ლეილა მესხი, მარჯვნივ დგას გურამ თოხაძე (რობერტ ბაგოიანის ფოტო).*

ერთი მათგანი, ვინც ასახელა მწვრთნელები, თათია მიქაძეა, რომელიც ჯერ მხოლოდ 13 წლისაა და საკმაო წარმატებები აქვს საშინაო თუ საერთაშორისო ტურნირებში. თათია თბილისის მე-12 საშუალო სკოლის წარჩინებული მოსწავლეა. ამ დღეებში ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე თათია მიქაძემ კიდევ ერთი წარმატება იზეიმა. ქალთა ტურნირში უფროსებთან პაექრობაში ფინალში გააღწია, სადაც გამოცდილ ნინო ესებუას დაუპირისპირდა და საქართველოს ჩემპიონი გახდა. თოხაძეები შეგირდებს კიკვიძის პარკის ასფალტის კორტებზე აოსტატებენ, რაც დიდ სიძნელეებს ქმნის, თუმცა, როგორც ვნახეთ, თუ გული გულობს, თურმე ასფალტზეც შეიძლება აღზარდო ჩემპიონი. სხვათა შორის, ამ ასპარეზობის მესამე პრიზიორიც ამ სპორტსკოლის აღზრდილი, გურამ თოხაძის მოსწავლე ნინო ჭიჭინაძე გახდა.

ოცი დღის შემდეგ, მოსკოვში, დიდ ტურნირში ჩაერთვება თათია მიქაძე. ამ ნიჭიერ გოგონას იმედი აქვს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ხელს გაუმართავს თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახური (უფროსი დ. ჯელიძე) და გამოიყოფა შესაბამისი დაფინანსება.

**თ. თომაშვილი**

## ჯილდო რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტს

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და 27-ე ოლიმპიურ თამაშებში ქვეყნის სპორტსმენთა მაღალი მიღწევებისთვის რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა „სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის“ IV საფეხურის ორდენით დააჯილდოვა რუსეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლეონიდ ტიაგაჩევი.

## 2002 წლის ოლიმპიადის ბილეთების 85 პროცენტი გაიყიდა

როგორც იუწყებიან, აშშ-ში მომხდარი ტერორისტული აქტების შემდეგ, სოლტ-ლეიკ-სიტში 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისადმი ინტერესი კვლავ აღსდგა. ბევრმა ეოკ-მა უკან გაითხოვა დაბრუნებული ბილეთები. ახლა მარტო ერთ დღეში, თვით ოლიმპიადის დედაქალაქში, 25 ათასი ბილეთი გაიყიდა და ახლა რეალიზებული ბილეთების რაოდენობამ 1 მილიონ 300 ათასს გადააჭარბა, რაც საერთო რაოდენობის 85 პროცენტია. გასაყიდი რჩება მხოლოდ 25 ათასი ბილეთი, მათ შორის ჰოკეის ფინალურ მატჩზე და ციგურაობაზე დასასწრებად.

სექტემბრის საუკეთესო სპონსორი

## თბილისის მერიის სამსახურები...

გასულ თვეში ქველმოქმედებით განებივრებული არ ყოფილა ქართული სპორტი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პატარ-პატარა წყალობებს. მთავარი მოვლენა მაინც მსოფლიო „გულის დღე“ იყო, რომელიც ჩვენში, კერძოდ, თბილისში მართლაც სანიმუშოდ ჩატარდა და ჭეშმარიტად საზეიმო ელფერი შეიძინა. ცოტ-ცოტა წვლილი ამ ღონისძიების მაღალ დონეზე ორგანიზებაში, მართალია, ყველამ შეიტანა, მაგრამ ყველაზე მეტად თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებმა მოინდომეს. „ლელომ“ თავის ტრადიციული გამოკითხვით, სექტემბრის საუკეთესო სპონსორად სწორედ თბილისის მერიის ეს სამსახურები სცნო.

## სერგო შალიბაშვილის ხსოვნის ტურნირი

სერგო შალიბაშვილის სახელი სამუდამოდ შევიდა მსოფლიოს წყალში ხტომის ისტორიაში. ამ სპორტსმენის ბოლო ნახტომმა, რომელიც ტრაგიკულად დამთავრდა, მთელი სპორტული სამყარო შეძრა. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ქართველი წყალმხტომელი „ოლიმპიური ორდენით“ დააჯილდოვა, რაც ნებისმიერი სპორტსმენისა და ოლიმპიური იდეალების დამკვიდრებისთვის მოღვაწეთათვის დიდი პატივია.

სერგო შალიბაშვილის სახელი თაობებში ლეგენდად გადადის. მის ნაკვალევზე იზრდებიან მოზარდები და ტრადიციულად, ამ დიდი სპორტსმენის ხსოვნის უკვდავსაყოფად ტურნირებში მონაწილეობენ. ამ დღეებში თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურმა სწორედ ასეთი ტურნირი ჩაატარა და სანაქებოდაც. კარგად ორგანიზებულმა ასპარეზობამ, ხელი შეუწყო მოზარდ სპორტსმენებს სრულად გამოევლინათ თავიანთი შესაძლებლობები. ასპარეზობისადმი ინტერესს ამაღლებდა ისიც, რომ უხვად იყო პრიზები, ვლინდებოდა მის წყალმხტომი და ა.შ. მთავარი მსაჯი კი ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ლიანა ცოტაძე გახლდათ. აქვე ვიტყვით, სპორტის ამ სახეობაში ბოლო ათწლეულში ყველა წარმატება თავდადებული მწვრთნელების, მამა-შვილის ალექსანდრე და ირაკლი ბართაიების სახელთანაა დაკავშირებული. ამ ასპარეზობის გამარჯვებულები და პრიზიორებიც მათი აღსაზრდელები არიან.



***აი ისინიც: ტრამპლინი. 1 მ. 1987-90 წწ. დაბ.*** 1. ვიტალი მამნიაშვილი, 2. ჭოლა ჭანტურია, 3. გიორგი გევორქიანი; ***1992-94 წლ. დაბ. გოგონები:*** 1. ალექსანდრა კორენევიჩი, 2. ჯესიკა მელიქოვა; ***ბიჭები:*** 1. სერგო გევორქიანი, 2. გურამ ვაშაყმაძე, 3. რეზო მოდებაძე; ***1991 წ. დაბ. ბიჭები:*** 1. შოთა კოროხაშვილი, 2. ანდრო ორჯონიკიძე, 3. გიორგი ზურაბაშვილი; ***გოგონები:*** 1. სალომე ჯულელი, 2. ნინო ყვავაძე, 3. მარი ტაკაშვილი; ***3 მ. ტრამპლინი:*** 1. ვიტალი მამნიაშვილი, 2. ჭოლა ჭანტურია, 3. კოტე ნანიტაშვილი; ***კოშკურა. 5-7 მ:*** 1. დავით ყვავაძე, 2. კოტე ნანიტაშვილი, 3. ჭოლა ჭანტურია; ***აბსოლუტური პირველობა:*** 1. მამნიაშვილი, რომელსაც გადაეცა ს. შალიბაშვილის თასი, 2. ჭანტურია, 3. ყვავაძე. სპეციალური პრიზები გადაეცათ სერგო და ლიკა შალიბაშვილებს. მის წყალში მხტომელის პრიზი ხვდა სოფიო ხუციშვილს.

**ც. ბაძრაძე**

*სურათზე: ტურნირის მონაწილენი, ორგანიზატორები, მსაჯები (რობერტ ბაგოიანის ფოტო).*

## პროფკავშირმა სპონსორები შემოიკრიბა

სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა აქტიური ნაბიჯები გადადგა, როგორც თავის სფეროში სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების ორგანიზების, ისე ვეტერან სპორტსმენთა მატერიალური დახმარების თვალსაზრისით.

11 ოქტომბერს იწყება და 23 ოქტომბერს დასრულდება დარგის პირველი სპორტული თამაშები სპორტის 5 სახეობაში (ცურვა, ტყვიის სროლა, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, სპორტული ნარდი). თამაშების დამთავრების მეორე დღეს, 24 ოქტომბერს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში საზეიმოდ დააჯილდოვებენ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. იქვე საქველმოქმედო მატერიალური დახმარება გაეწევათ სახელოვან ვეტერან სპორტსმენებს. „ჩვენ შევძელით მოგვეზიდა სპონსორები, შევქმენით საქველმოქმედო ფონდი და ამ სახსრებით ვატარებთ პირველ პროფკავშირულ სპორტულ თამაშებს. მსაჯები გასამრჯელოს ოპერატიულად მიიღებენ. ესეც ხომ გარკვეული შეღავათია ამ უხელფასობა-უსპონსორობის დროს. ამ თანხიდან დავეხმარებით ვეტერან სპორტსმენებსაც“ — უთხრა „ლელოს“ კორესპონდენტს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა აბო გიუნაშვილმა.

## 17 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

UEFA UNDER-17 Championship

# ლოკომოტივზე საქომაგოდ!

უეფას რეგიონთა თასი მოყვარულ ფეხბურთელთა შორის, 16 წლამდე ფეხბურთელთა შესარჩევი მატჩები და ახლა 17 წლამდელთა შესარჩევი ტურნირი — თბილისი მესამედ უმასპინძლებს უეფას ეგიდით გამართულ ასეთ საერთაშორისო შეჯიბრებას. მეათე შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები ისრაელისა და ბოსნია-ჰერცოგოვინის გუნდები იქნებიან. საქართველოს ნაკრებმა კობა ჟორჟიკაშვილის თავკაცობით მზადების რამდენიმე ეტაპი განვლო. გუნდმა პალანგის საერთაშორისო ტურნირში ისპარეზა, გამართა ორი საკონტროლო მატჩი „ლოკომოტივთან" — ერთი მოიგო, მეორეში დამარცხდა. თავად შესარჩევი ეტაპი ჩვენს ჯგუფში ორშაბათს, 15 ოქტომბერს დაიწყება. მატჩები „ლოკომოტივის" სტადიონზე ჩატარდება 16 საათზე. გაისად ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჯგუფის პირველადგილოსანი ითამაშებს. ასე რომ, სანაკრებო მატჩები კიდევ გვაქვს ქართველებს საქომაგო. ტურნირს უეფას დელეგატის სტატუსით დააკვირდება ბელგიელი ჟორჟ დელაკური. მსაჯები რუსეთიდან და რუმინეთიდან არიან — გენადი კრასიუკი, სერგეი გუსევი, ედგარ სორინ ალტმაიერი და კორნელიუ ფეჩიორუ.

### საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრები

**მეკარეები:** ზვიად ჩალაძე ლოკომოტივი (თბილისი), კახა ჭინჭარაძე ვიტ ჯორჯია2 (თბილისი); **მცველები:** ირაკლი ჩიჩუა ლოკომოტივი (სამტრედია), თემურ ლონდაძე ივერია (ხაშური), ლაშა ჭელიძე ტორპედო (ქუთაისი), ზურაბ ბარაბაძე ნორჩი დინამოელი (თბილისი) ანზორ კალაძე 35-ე საფეხბურთო სკოლა, დავით მიქიაშვილი ყაზბეგი (თბილისი).

**ნახევარმცველები:** გოჩა ხოჯავა ყაზბეგი (თბილისი), ზაალ ელიავა ყაზბეგი (თბილისი), ზურაბ კვახაძე ნორჩი დინამოელი (თბილისი), გივი კაპანაძე 35-ე საფეხბურთო სკოლა, გიგა კუტივაძე იმერეთი (ქუთაისი).

**თავდამსხმელები:** სანდრო იაშვილი ვიტ ჯორჯია2 (თბილისი), გიორგი ჭელიძე აკადემია (თბილისი), გოგი ფიფია ყაზბეგი (თბილისი), ვალერი კაციტაძე ნორჩი დინამოელი (თბილისი), ამირან ყველაშვილი გაზაფხული (გორი).

### მეათე შესარჩევი ჯგუფის კალენდარი

***15 ოქტომბერი:*** საქართველო — ბოსნია

***17 ოქტომბერი:*** ისრაელი — ბოსნია

***19 ოქტომბერი:*** საქართველო — ისრაელი

მატჩები 16.00 დაიწყება.

## ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

**დღეს, 12 ოქტომბერს, 11 საათზე ლოკომოტივის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში პრესკონფერენციას გამართავს საქართველოს 17 წლამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი.**

# ცნობები ინტერნეტის სამყაროდან

### კონტრაქტი „ადიდასთან"

**სამგზის მსოფლიო რეკორდსმენმა ცურვაში იან ტორპმა ახალი ხუთმილიონიანი კონტრაქტი გააფორმა „ადიდასთან". ეს სპორტსმენი სამწლიანი კონტრაქტითაა დაკავშირებული იაპონიის სატელევიზიო კომპანია „ასახისთან", რომელიც მის ინტერესებს წარმოადგენს 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებში. ახალი კონტრაქტით, ცნობილი მოცურავე „ადიდასის" ნაწარმის სარეკლამო კამპანიაში მიიღებს მონაწილეობას.**

### აშშ იწყებს სპორტულ თვითიზოლაციას

ერთდროულად ოთხი ამერიკელი მოციგურავე გაიწვია აშშ-მ, ავსტრიაში გუშინ დაწყებული მოციგურავეთა დიდი ტურნირიდან, მათი უსაფრთხოების მიზნით. საშიშროება კი ამერიკის მიერ ავღანეთის დაბომბვის ოპერაციებს უკავშირდება. „ჩვენ არ შეგვიძლია საკუთარ სპორტსმენთა უსაფრთხოების გარანტირება. საერთოდ, ამერიკელ სპორტსმენთა გადაადგილებას ქვეყნის გარეთ, ყოველთვის საგანგებოდ განვიხილავთ, მათივე უსაფრთხოების დასაცავად" — თქვა აშშ-ს ციგურაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ფილის ჰოვარდმა.

### ლიტვის კალათბურთელებს ახალი თავკაცი ჰყავთ

**ერთი კვირის ფიქრის შემდეგ, „შაულიაის" მთავარი მწვრთნელი ანტანას სირეიკა დათანხმდა სათავეში ჩაუდგეს ლიტვის კალათბურთელთა ნაკრებს. მის კანდიდატურას ფედერაციის აღმასკომის ყველა წევრმა დაუჭირა მხარი. თავიდან მწვრთნელი კატეგორიულ უარზე იყო და მოფიქრებისთვის დრო ითხოვა. ახალმა მწვრთნელმა უკვე დაასახელა ორი თანაშემწე, ესენი არიან ვლადიმირას ხომიჩუსი და გინტარას კრაპიკასი, რომელიც „ჟალგირისში" მუშაობს და თანხმობაზე ან უარზე საბოლოო სიტყვას იტყვის მხოლოდ მას შემდეგ, რაც კლუბის ხელმძღვანელობას მოეთათბირება.**

სიახლეთა ესტაფეტა

### ქალაქი – საკალათბურთო ცენტრი!

**ნოვოსიბირსკში ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ ქალაქის საკალათბურთო ცენტრად გადაქცევის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა. ოლქში ყველაფერი გაკეთდება კალათბურთის მასობრიობისთვის — შეიქმნება ბავშვთა საკალათბურთო სკოლების ფართო ქსელი, ჩამოყალიბდება კლუბები და გუნდები, კალათბურთის გულშემატკივართა გაერთიანება. მთელი ამ სისტემის პირამიდის წვერი იქნება პროფესიული საკალათბურთო გუნდები.**

**„დასახული ამოცანის რეალიზაცია გარანტირებული იქნება ფინანსებით. ითამაშეთ და გაიხარეთ!" — ასე მიმართა შეკრებილთ ოლქის გუბერნატორმა ვიქტორ ტოლოკონსკიმ, როცა ამ სიახლის შესახებ ამცნო შეკრებილთ.**

### ბლატერი მხარს უჭერს იუჰანსონს

ამ დღეებში ჩეხეთში მიმდინარე ფიფას კონგრესზე ამ ორგანიზაციის პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა დაარწმუნა ყველა, რომ უეფას მომავალ არჩევნებში აუცილებლად წარადგენს ამჟამინდელი პრეზიდენტის ლენარტ იუჰანსონის კანდიდატურას. ეს განცხადება ცოტა უცნაურად გამოიყურება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ორივე მაღალჩინოსანი ერთმანეთს ბოლო ხანებში სისტემატურად აკრიტიკებდა. ბოლო უთანხმოება მათ შორის გამოიწვია იუჰანსონის მოთხოვნამ ფიფას საფინანსო საქმიანობის საჯაროდ გამომზეურებასთან დაკავშირებით.

ლენარტ იუჰანსონი ახლა 71 წლისაა.

### ძიუდოში „გრან-პრის" საპრიზო ფონდი განახევრდა

**13 ოქტომბერს, მოსკოვში, როგორც ცნობილია, დაიწყება ძიუდოს ოსტატთა „გრან-პრი", რომლის საპრიზო ფონდად დათქმული იყო 1 მილიონ 300 ათასი აშშ დოლარი. გუშინ ცნობილი გახდა, რომ საპრიზო ფონდი განახევრდება. ამის თაობაზე განაცხადა მსოფლიოში ამ უპრეცედენტო ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტმა. მიზეზად მოიტანეს გართულებები, რაც დაფინანსებასთან დაკავშირებით წარმოიქმნა. ამასთან, ისინი ირწმუნებიან, რომ ეს არ იმოქმედებს ასპარეზობის სანახაობით მხარეზე და ხარისხზე. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია დათანხმდა საპრიზო ფონდის, ჩვენში ესოდენ ცნობილი ტერმინით რომ ვთქვათ, 700 ათას დოლარამდე სეკვესტრს.**

**სახელმწიფო დუმის დეპუტატი ვლადიმირ პლატონოვი თვლის, რომ მთავარია ამ სპორტულ-კულტურულმა ღონისძიებამ დიდი შემოსავალი მოუტანოს მოსკოვს. მოკლედ, შემოსავალი უნდათ, გასავალზე ყაბულს აღარ არიან!**

* * *

**გერმანელი** ველომრბოლი იან ულრიხი ოქროს მედალს დაეუფლა პორტუგალიაში მიმდინარე ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე. პირველობა მან დაყოფილ სტარტით ასპარეზობაში მოიპოვა. მეორე პრიზიორი გახდა ინგლისელი დევიდ მილარი, რომელიც გამარჯვებულს 6 წამით ჩამორჩა, მესამე იყო კოლუმბიელი სანტიაგო ბოტერო. გამარჯვებულის დროა 51.49,99 (საშუალო სიჩქარე — 44,797 კმ/სთ).

სიტყვიდან — საქმეზე!

# სწორება 142-ე სკოლაზე...

თუ ვინმე ცდილობს სასკოლო რეფორმის ძირითად მიმართულებებში დასახული ამოცანა განახორციელოს პრაქტიკული საქმიანობით, განახორციელოს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სფეროში. ერთ-ერთი სამაგალითო (სამწუხაროდ, ასეთები ძალიან ცოტანი არიან) არის თბილისის 142-ე საშუალო სკოლა (დირექტორი სოსო ლაგვილავა, ფიზაღზრდის მასწავლებლები გოდერძი შურღაია, თალიკო კარანაძე, პეპელა ქართველიშვილი). მასობრივ-სპორტული გამაჯანსაღებელი სკოლისგარეშე მუშაობის პროგრამა მრავალ ღონისძიებას მოიცავს, ძირითადად ისეთს,



რაც ყველასთვის ხელმისაწვდომია და ხელს უწყობს ამ სკოლის მოსწავლეთა, როგორც ფიზიკურ, ისე სულიერად ჰარმონიულ აღზრდას.

ერთი ასეთი ღონისძიება 142-ე სკოლამ მასწავლებლის დღეს (იმავე დღეს აღინიშნა სპორტის დღეც) ჩაატარა. ეს იყო ტურისტული ლაშქრობა, რომელშიაც 600-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. 70-80-იან წლებში ბევრი იწერებოდა, რომ სკოლისგარეშე მუშაობაში ფართოდ უნდა დანერგილიყო ტურისტული გასვლები ბუნების წიაღში შემეცნებით-საგანმანათლებლო დატვირთვით, ცხადია, ბუნების წიაღშივე გამართული სპორტული შეჯიბრებებით. მაშინ ამას ბევრი სკოლა აკეთებდა, დღესდღეობით კი 142-ე სკოლა მოგვევლინა სამაგალითოდ. მარშრუტი ასეთი იყო: სკოლა — თბილისის ზღვის შემოგარენი — სკოლა. ლაშქრობას წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაოები, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. დირექტორის ბრძანებით შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიაც შევიდნენ მშობლებიც. სკოლაში გამოიკრა ნორჩი ტურისტის სამახსოვრო და პროგრამა, ხელმძღვანელებმა კი მარშრუტი და დაბანაკების ადგილი წინასწარ შეისწავლეს.

ყველა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა კროსში 3000 და 5000 მეტრზე, ითამაშეს ფეხბურთი, ჩატარდა ესტაფეტები და მხიარული თამაშები, თავისუფალ დროს კი მოზარდები ისე ერთობოდნენ, როგორც სურდათ. ლაშქრობაში მშობლებიც მონაწილეობდნენ. მათი სურვილი იყო, ხშირად გაიმართოს ასეთი ღონისძიებები.

კროსში მეხუთე კლასელებიდან თავი გამოიჩინეს თინა ხარაზიშვილმა და დათო გურგენიძემ, მეექვსედან — თეა წიკლაურმა, რობერტ მათევოსიანმა, მეშვიდედან — ეკა ნოზაძემ, რამაზ ჯარმელაშვილმა, მერვედან — სოფიო საბაძემ, დათო გოდერძიშვილმა, მეცხრედან — ირმა მარქარაშვილმა, დავით მარკოზაშვილმა, მეათე — მეთერთმეტედან: შორენა ჩაბრაძემ და გიორგი ორჯონიკიძემ. ფეხბურთში მერვეკლასელებმა მოუგეს ერთი კლასით უმცროსებს 3-1, მეათე — მეთერთმეტე კლასელების ნაკრებმა კი მეცხრეკლასელებს აჯობეს 6-4.

მოსწავლეებთან ერთად ღონისძიების კარგად ჩატარებისთვის მასწავლებლებიც დაჯილდოვდნენ.





*სურათებზე: ლაშქრობა; მასობრივი გარბენი; ფეხბურთი თბილისის ზღვის ფონზე.*

*რობერტ ბაგოიანის ფოტოები*



*მასობრივ ღონისძიებაში წარჩინებულნი*



9 ოქტომბერი. „ლოკომოტივის“ სტადიონი

ლოკომოტივი – სამგურალი 1-0

# „ლოკომოტივის“ დღე

**საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

**უმაღლესი ლიგა. X ტური**

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ჭიჭვეიშვილი, ონიანი, გელა ქორიძე, მორჩილაძე, ანჩაბაძე (ცხადაძე 78), დ. ჯანაშია (კაიდარაშვილი 46), დათვაძე (ბერელიძე 86), გოგიჩაიშვილი.
**სამგურალი:** ბოდოკია, ბ. ბერაძე, ჭელიძე, ქობულაძე (გ.ა. მიქაძე 67), ცომაია, კოპალიანი, ღონღაძე, ხუნდაძე (ჯიქია 88), ფხაკაძე (კიკვიძე 72), კ. ჯანაშია, ბანძელაძე.
***გოლი:*** 1-0 დათვაძე (62).
***გააფრთხილეს:*** ხუნდაძე.
***მსაჯი:*** ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა).

ცხრა ოქტომბერი რკინიგზელთა დღე იყო. „ლოკომოტივმაც“ კოლეგებს გამარჯვება მიუძღვნა, თუმცა გვარიანად კი გაუჭირდა „სამგურალის“ დამარცხება. ერთი საათი ცდილობდნენ რკინიგზელები წყალტუბოელთა დაცვის გარღვევას, გამუდმებით უტევდნენ, მაგრამ მათ შეტევებს გააზრებულს ვერ უწოდებდი. მახვილგონივრული იერიშები ნაკლებად გამოსდიოდა „ლოკომოტივს“ და სტუმრებიც შეძლებისდაგვარად იგერიებდნენ მასპინძელთა ზეწოლას, თავადაც ცდილობდნენ მეტოქის საჯარიმოში შეღწევას, მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა. ლომაიას, ფაქტობრივად, სამუშაო არც ჰქონია. მეორე ტაიმის საწყის ოც წუთში მეტოქეებს თითო-თითო კარგი იერიში გამოუვიდათ. „სამგურალმა“ პირველი სახიფათო შეტევა კინაღამ გოლით დაასრულა, ხუნდაძე ლომაიას პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა, რითაც რამდენიმე წუთში „ლოკომოტივმა“ მშვენივრად ისარგებლა. 62-ე წუთზე დათვაძემ, რომელმაც პირველ ტაიმში ერთხელ უკვე აპატია წყალტუბოელ მცველებს შეცდომა და ხუთიოდე მეტრიდან დარტყმული ბურთი ცარიელ კარს ააცილა, ამჯერად ზუსტი იყო და ნაღდი შანსი გამოიყენა. მისმა თავურმა „ლოკომოტივს“ ერთი გოლით გაამარჯვებინა და მეორე ადგილზე დაამკვიდრა.

**საბა ლომინაძე**


ლოკომოტივი — სამგურალი

| | თ. | მ. | ფ | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 10 | 9 | 1 | 0 | 26-4 | 28 |
| ლოკომოტ. | 10 | 8 | 0 | 2 | 21-6 | 24 |
| მერანი | 10 | 6 | 1 | 3 | 17-15 | 19 |
| დინამო (ბთ) | 10 | 5 | 3 | 2 | 13-6 | 18 |
| დინამო (თბ) | 10 | 5 | 1 | 4 | 22-10 | 16 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 4 | 3 | 3 | 17-12 | 15 |
| კოლხ.1913 | 10 | 4 | 2 | 4 | 18-18 | 14 |
| სიონი | 10 | 3 | 2 | 5 | 7-17 | 11 |
| სამგურალი | 10 | 2 | 1 | 7 | 7-19 | 7 |
| გურია | 10 | 1 | 4 | 5 | 6-15 | 7 |
| გორდა | 10 | 1 | 3 | 6 | 8-21 | 6 |
| მეტალურგი | 10 | 0 | 3 | 7 | 3-22 | 3 |

**ბომბარდირები**

8 – მიხეილ აშვეთია (ტორპედო)
8 – მიხეილ ბობოხიძე (დინამო თბ)
6 – ჰამლეტ წივწივაძე (კოლხეთი1913)
6 – დავით დათვაძე (ლოკომოტივი)
5 – პაატა მაჭუტაძე (დინამო ბთ)
5 – ანდრეი პოროშინი (ტორპედო)
5 – სულიკო დავითაშვილი (მერანი)
5 – ალექსანდრე გოგობერიშვილი (ვიტ ჯორჯია).


ლოკომოტივი — მერანი

ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები

## ტექნიკური შედეგები

### სიონი – მეტალურგი 2-0

**სიონი:** ვოლკოვი, პაპიძე, სიდამონიძე, კარიაული, ბარნოვი, ისიანი, დაუშვილი (კ. გოდერძიშვილი 46), ამბიძე, მოსეშვილი, ბ. შენგელია (ბარქაია 89), მინაშვილი (შაკიაშვილი 89).
**მეტალურგი:** ოდიკაძე, ორმოცაძე, მერებაშვილი, გურეშიძე, შეყრილაძე, სუხიაშვილი, გოგაძე, მაღლაკელიძე, გეწაძე, ქურციკიძე (მემარნიშვილი 35, ფირცხალაიშვილი 62), კრავეიშვილი (ხმალაძე 75).
***გოლები:*** 1-0 .შენგელია (40), 2-0 ისიანი (72).
***გააფრთხილეს:*** გეწაძე, ბარნოვი.
***მსაჯი:*** ა. შალამბერიძე (ქუთაისი).

### გურია – ვიტ ჯორჯია 1–5

**გურია:** გ. დოლიძე, განევი, ორბელაძე, გაბრიჭიძე, ფაცურია, ებრალიძე (ლორია 82), ხუჭუა (პატარიძე 73), მარღიშვილი, სულაკაძე, პატარაია (დ. ოდიკაძე 41), კ. მეტრეველი.
**ვიტ ჯორჯია:** მამარდაშვილი, თ. კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ინწკირველი, ლ. ნოზაძე, კ. სვანიძე, თედორაძე, გოგობერიშვილი, ადამია (ცქიფურიშვილი 82), წუწუნავა (არეშიძე 86), გოჩაშვილი (ფეიქრიშვილი 65). გოლები: 0-1 გოჩაშვილი (19), 1-1 ხუჭუა (38), 1-2 ადამია (49), 1-3, 1-4 წუწუნავა (63, 84), 1-5 გოგობერიშვილი (88).
კ. მეტრეველმა 54-ე წუთზე ვერ გაიტანა პენალტი.
***გააფრთხილეს:*** კობიაშვილი, თედორაძე, სვანიძე, ებრალიძე, ინწკირველი, გოჩაშვილი.
***მსაჯი:*** ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

### ტორპედო – მერანი 4–2

**ტორპედო:** გვარამაძე, აბრამიძე, ხვადაგიანი, მახვილაძე, დიდავა, ლევან სილაგაძე, ქემოკლიძე, თოდუა (ბაბუნაშვილი 66), იონანიძე (აკოფიანი 74), პოროშინი, ქუთათელაძე (ასათიანი 62).
**მერანი:** გაბელია, გოგიტაძე, ზ. ცქიფურიშვილი (გ. ხიზანიშვილი 88), გუჯაბიძე, ბოლქვაძე (ბაჯელიძე 85), ილურიძე, ი. შენგელია, ჭინჭარაული, კვეკვესკირი, დავითაშვილი, გაგუა (კუპრეიშვილი 75).
***გოლები:*** 1-0 პოროშინი (2), 2-0 იონანიძე (35), 2-1 დავითაშვილი (39), 2-2 ბოლქვაძე (41), 3-2 პოროშინი (65), 4-2 ბაბუნაშვილი (78).
დიდავამ ვერ გაიტანა პენალტი 70-ე წუთზე.
***გააფრთხილეს:*** ბოლქვაძე.
***გააძევეს:*** ქემოკლიძე, კვეკვესკირი.
***მსაჯი:*** ა. მეშკოვი (თბილისი).

### კოლხეთი 1913 – დინამო (თბ) 0–4

**კოლხეთი:** მ. გვასალია, მიქელთაძე, ტორჩინავა, აკობია (კვირკველია 26), გოროზია, კრასოვსკი (ახვლედიანი 28), მ. ქობულაძე, მუმლაძე (ქუტიძე 64), კვეტენაძე, ე. გვასალია, წივწივაძე.
**დინამო:** ზოიძე, სვანაძე (გაბიდაური 46), კანდელაკი, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, სახვაძე, ამისულაშვილი, ბურდული, დარასელია, გ. ვ. მიქაძე (აფციაური 67), ბობოხიძე (მიკუჩაძე 55).
***გოლები:*** 0-1 მიქაძე (4), 0-2 ბობოხიძე (5), 0-3 მიკუჩაძე (67), 0-4 ბურდული (69).
***გააფრთხილეს:*** გოროზია, ე. გვასალია.
***მსაჯი:*** მ. მალაღურაძე (თბილისი).

### გორდა – დინამო (ბთ) 1–1

**გორდა:** კოროშინაძე, კედელაშვილი, ბურნაძე, ლაშა სილაგაძე, ლურსმანაშვილი, ზ. ლაბაძე (ი. ჯუღელი 66), კ. ალადაშვილი, მელაძე, ლ. კაპანაძე (გოცირიძე 75), ჯელაძე, პეტრიაშვილი.
**დინამო:** ჰანტურია, მინდაძე, არჩვაძე, თურმანიძე, ქაცარავა, ზ. გვაზავა, ხუჯაძე, დარჩიძე (რომანაძე 82), ტუღუში, მაჭუტაძე, აფხაზავა (ჩიჩუა 84).
***გოლები:*** 1-0 ალადაშვილი (14), 1-1 ტუღუში (35 პ)
***გააფრთხილეს:*** ალადაშვილი, კედელაშვილი, ტუღუში, ჯუღელი
***მსაჯი:*** კ. მესხი (ზუგდიდი).

## „დინამომ“ ხასიათი გამოიკეთა?

საინტერესოდ წარიმართა უმაღლესი ლიგის პირველი ეტაპის, პირველი წრის ბოლოსწინა ტურის მატჩები. თითქმის საფუძვლიანად შეცვლილი თბილისის „დინამო“ ისტორიულ მეტოქეს „კოლხეთს“ ფოთში ესტუმრა და უხერხული მეტოქე მოულოდნელად ბეჭებზე გააკრა. თბილისელთა ასეთ უპრატესობას არავინ ელოდა. მით უფრო მაშინ, როცა ფეხბურთელთა თითქმის უმეტესობამ გივი ნოდიას, მატჩის წინ, ბოიკოტიც გამოუცხადა, მაგრამ სტრესულმა ვითარებამ უკუ რეაქცია გამოიწვია, გუნდი მნიშვნელოვან მატჩში მოსაგებად განაწყო და სტუმარმა მასპინძელი სატურნირო ცხრილში ერთბაშად ორი საფეხურით დააქვეითა. „დინამო“ კი ლიდერებს მიუახლოვა. „კოლხეთს“ ვიტელებმაც გაასწრეს. სერგო გაბელაიამ ჩინებული დებიუტი მოიწყო. „გურია“ „ვიტ ჯორჯიას“ დასაწყისში თანაბრად კი ეპაექრა, მაგრამ მერე გატყდა, სტუმარმა აქაც დიდი ანგარიშით იმარჯვა. ჩემპიონს პირველ ნახევარში გაუძალიანდა „მერანი“, ორბურთიანი უპირატესობაც გაუბათილა, თუმცა მეორე ტაიმში ვეღარ გაუძლო ლიდერის ზეწოლას და დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდიდან თითო ფეხბურთელი გააძევეს, რაც მატჩის დაძაბულობაზე მიუთითებს. რუსთავში „გორდა“ ბათუმურ „დინამოს“ მაგრად დაუხვდა და შინ ქულის ამარა გაუშვა.

ბოლნისში „სიონმა“ კარგად ისარგებლა აშკარა აუტსაიდერის სისუსტით და ზესტაფონელებს ფრეც სანატრელი გაუხადა. ამ მოგებით „სიონი“ გვარიანად დასცილდა მაჩანჩალათა ჯგუფს.

ტურში ორი მატჩი სტუმრებმა მოიგეს, სამი მასპინძლებმა, ერთი ფრედ დამთავრდა, გავიდა 21 გოლი. ბურთების შეფარდება 9-12 სტუმართა სასარგებლოდაა. ორჯერ მეკარეებმაც იყოჩაღეს და პენალტები მოიგერიეს.

მეთერთმეტე ტური ხვალ გაიმართება. შაბათის მატჩები თორმეტივე გუნდს კუთვნილ ადგილს მიუჩენს. ამ შეხვედრებით დასრულდება პირველი წრე და ერთი კვირით საშუალედო ფინიში გამოცხადდება. „ლოკომოტივი“ ბათუმში ჩავა. მატჩისადმი ინტერესს ის აძლიერებს, რომ თანაბარი კლასის მეტოქეთა პაექრობაში ქულების მოპოვება, ორივეს ძალუძს. უეჭველია, მიღწეულის შენარჩუნებას თბილისელებიც და ბათუმელებიც შეეცდებიან. ძნელად პროგნოზირებადი მატჩებია ზესტაფონში, სადაც „მეტალურგი“ და „გორდა“ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ცხრილის ფსკერზე მყოფი გუნდების თამაშის შედეგს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს აუტსაიდერებისთვის. მცხეთაში „ვიტ ჯორჯია“ „სიონს“ მიიღებს, „მერანი“ კი „შევარდენზე“ „დინამოსგან“ ნაგვემ „კოლხეთს“. დარჩენილ ორ შეხვედრაში თბილისის „დინამოსთან“ „გურიას“, ხოლო „სამგურალს“ — „ტორპედოსთან“ სასიკეთო შედეგის მიღწევისათვის მიზერული შანსი აქვთ. დასრულებული პირველი წრე ექსეულების გარკვეულ მონახაზს შემოგვთავაზებს. მერე კი, პირველობა კვლავ გაგრძელდება, სამსჯელო და გასანალიზებელი ჯერ კიდევ წინაა.

## მსაჯები, ინსპექტორები • უმაღლესი ლიგა • XI ტური

**დინამო (ბთ) — ლოკომოტივი.** მთავარი მსაჯი — ა. კრიჭაშვილი, ასისტენტები — ჯვარიძე, ურუშაძე, მეოთხე მსაჯი — დოგრაშვილი, ინსპექტორი — ო. გუნთაძე.

**მეტალურგი — გორდა.** მთავარი მსაჯი — ჯ. ბუიშვილი, ასისტენტები — მიქელაძე, ჩიგოგიძე, მეოთხე მსაჯი — კვარაცხელია, ინსპექტორი — მ. კობიაშვილი.

**ვიტ ჯორჯია — სიონი.** მთავარი მსაჯი — მ. მალაღურაძე, ასისტენტები — ბრეგვაძე, სილაგავა, მეოთხე მსაჯი — ფანიაშვილი. ინსპექტორი — ბ. ქარქაშაძე.

**დინამო (ბთ) — გურია.** მთ. მსაჯი — ა. შალამბერიძე, ასისტენტები — გაბრიაძე, ელიკაშვილი, მეოთხე მსაჯი — ორდინიძე, ინსპექტორი — ნ. კაკულია.

**მერანი — კოლხეთი 1913.** მთავარი მსაჯი — ა. მეშკოვი, ასისტენტები — ხუციშვილი, მენთეშაშვილი, მეოთხე მსაჯი — კიკაჩეიშვილი, ინსპექტორი — ს. კუტივაძე.

**სამგურალი — ტორპედო.** მთავარი მსაჯი — კ. მესხი, ასისტენტები — სამხარაძე, ცირდავა, მეოთხე მსაჯი — მაისურაძე, ინსპექტორი ჩილაჩავა.



## ქართველის დამოძღვრილი ბრაზილიელები

ერთი თვის წინათ დასრულებული სტუდენტთა XXI საზაფხულო მსოფლიო უნივერსიადაზე, პეკინში, საქართველოდან 6 სპორტსმენი მონაწილეობდა. შეგახსენებთ, რომ ძიუდოისტთა შეჯიბრებაში 60 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტმა ვახტანგ ხოსიტაშვილმა. თუმცა, ქართველების მონაგარი ამით არ ამოწურულა. ბრაზილიის ფეხბურთელ ქალთა გუნდმა ფინალში ჰოლანდიელი დიაცები 2-1 დაამარცხა და უნივერსიადის ოქროს მედლებს დაეუფლა. ***ბრაზილიელების ქალთა სტუდენტური ნაკრების მთავარი მწვრთნელი ქართველია.*** თბილისის „ლოკომოტივის“ ყოფილი ფეხბურთელი გოჩა ალადაშვილი შვიდი წელია ბრაზილიაში ცხოვრობს და ახლა თავის გამოცდილებას სამხრეთამერიკელ ამორძალებს უზიარებს, როგორც ხედავთ, წარმატებითაც.

*სურათზე: ბრაზილიის ქალთა ნაკრები, უნივერსიადის ჩემპიონი.*
*მარჯვნივ: პირველი მეორე რიგში — გოჩა ალადაშვილი*

**გახსენება**

# ამბიციური კაპიტანი

ამბიციურობას ყოველთვის როდი დაჰკრავს უარყოფითი ელფერი. იგი იმავდროულად ზვიადობას, საკუთარი ძალის ღრმა რწმენასა და თვითდამკვიდრების სურვილის აღმნიშვნელიცაა. ამიტომაც, ხშირად ამბიციურობა სტიმულია ადამიანმა თავისი შესაძლებლობა სრულად რომ განახორციელოს.

აი, ასეთი ფეხბურთელი მოვიდა ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში თბილისის „დინამოში“, რაც იშვიათი კი არა, საერთოდ, წარმოუდგენელია, ალბათ, მსოფლიოს წამყვან კლუბებში. შეიძლება ეს, ცოტა არ იყოს, გაბედულადაა ნათქვამი, მაგრამ საერთოდ, ხომ რაგინდ ვარსკვლავი უნდა იყოს, პირველ ხანებში ბევრს არ აიღებს თავის თავზე, და რომ იტყვიან, მორიდებულად შეაღებს გუნდის კარს... ამ შემთხვევაში კი მისი დებიუტი ყოფილი საკავშირო ჩემპიონატის გათამაშებაში უშუალოდ ნამდვილი ასების პირისპირ ორთაბრძოლებში შედგა, სადაც იგი სულაც არ ჰგავდა ახალბედას, არამედ სრულიად მომწიფებულ მოთამაშედ დაამახსოვრა თავი მაყურებელს. კი მაგრამ, საიდან მოვიდა ეს ოსტატობა?

საქმე ის იყო, რომ საქართველოს პირველ გუნდში ცნობილ 35-ე საფეხბურთო სკოლის ოქროსმ ედლით კურსდამთავრებული შოთა იამანიძე მოსწავლეობის პერიოდშივე ჩამოყალიბდა ლიდერად, რაც სულაც არ ნიშნავდა ცოტას. არც ის იყო შემთხვევითი, რომ ფრიადოსანი მოსწავლე, ყველაფერში უაღრესად მომთხოვნი გახლდათ თავისი თავის მიმართ. და ეს თვისება ბოლომდე გაჰყვა მას. მაგრამ აქ ფრიად მომგებიანი პირობებიც შეექმნა. კერძოდ ის, რომ გუნდში თაობათა ცვლა მიმდინარეობდა და მოდიოდნენ ახლები, რომლის უცილობელი ლიდერი თავად იყო, ამ თაობას, უმთავრესად, სკოლის ერთი გამოშვება წარმოადგენდა. გუნდში იყო ვარსკვლავებიც, ვთქვათ, მესხი, ჩოხელი, ბარქაია, გ. სიჭინავა, აგრეთვე, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, მაგრამ ვერც ერთი ვერ აიღებდა თავის თავზე გუნდის ლიდერობას.

ეს პოსტი მას ელოდა. და მან ღირსეულად ატარა მძიმე, მაგრამ მეტად საპატიო ტვირთი. როცა მომგებიან პირობებზე ვლაპარაკობ, აქ იგულისხმება ის, რომ სულაც არ გასჭირვებია თანამოაზრენი რომ ჰყოლოდა, რომელთაგან ერთ მუშტად შეკრული და ერთადერთი მიზნით გამსჭვალული გუნდი შეექმნა. ეს უცებ არ მოსულა, ამას რამდენიმე წელიწადი დასჭირდა. და დადგა დრო „დინამო“ რომ დაძრულიყო მიზნის მისაღწევად, რასაც ქვეყნის ჩემპიონობა ერქვა და იგი წინა, რამდენიმე თაობების ლამის სანუკვარი ოცნება იყო. შ. იამანიძე წილნაყარი გახლდათ იმ ლეგენდარული თაობისა, რომელსაც „დიდი ბორისი“ ედგა სათავეში. შოთა იამანიძეს ბედნიერება ხვდა იმ თაობის ერთ-ერთი მკაფიო ტალანტის, ავთანდილ ღოღობერიძის მხარდამხარ გამოსულიყო გუნდში, და მისი ხელდასმით „დინამოს“ კაპიტნის მკლავსახვევი მიეღო. აქ მარტო მკლავსახვევში არაა საქმე. კაპიტნის წოდებასთან ერთად, მან გუნდისთავის თვისებებიც შეისისხლხორცა, რომლითაც გამოირჩეოდა ა. ღოღობერიძე. იგი ორმოცდაათიანი წლების ბოლომდე შემორჩა „დინამოს“ და სამაგალითო, მისაბაძი იყო მისი ფეხბურთისადმი დამოკიდებულება და მუყაითობა გუნდის წევრებისათვის, რომლებიც 15-17 წლით მასზე უმცროსები იყვნენ, განსაკუთრებით მისი მემკვიდრისათვის. და შ. იამანიძემ ისე შეცვალა ეს დიდოსტატი, რომ გუნდის თამაშს უიმისობა არ დასტყობია.

ინგლისელებს უთქვამთ: „გვითხარით ვინაა თქვენი ნახევარმცველი და გეტყვით რა სახისაა თქვენი გუნდი“. სწორედ ამ უბანზე თამაშით შეუქმნა შ. იამანიძემ ის იმიჯი „დინამოს“, რითაც გაითქვა სახელი გუნდმა. და ეს დაკავშირებულია დინამოელთა საფრანგეთის ტურნესთან, რომელშიც მათ მსოფლიოში კარგად ცნობილ გუნდებს სძლიეს, სწორედ იმ თამაშებში დაიგდო გუნდის უცილობელი ლიდერის სახელი შ. იამანიძემ. ალბათ, გახსოვთ იმდროინდელი ცნობილი საკავშირო რადიოკომენტატორის ვადიმ სინიავსკის სიტყვები: „Тбилисцы, готовте розы“. ეს ფრაზა შ. იამანიძის ცნობილი რეიდების შედეგად იყო ნათქვამი, რასაც მესხის თავბრუდამხვევი ფინტები მოჰყვებოდა. ეს წყვილი მეტად სერიოზულ საფრთხეს ქმნიდა, როგორც წესი, მარცხენა ფრთაზე.

„დინამოს“ არაერთი დასამახსოვრებელი გამარჯვება მოუპოვებია „ამბიციური კაპიტნის“ ზეობის ხანს. აიღეთ გამარჯვება (5-4) თავსხმაში მოსკოვში ადგილობრივ „სპარტაკთან“, ანდა, ისტორიული ფრე (2-2) კიევში, თანაკლუბელებთან, სადაც თბილისელთა კაპიტნის თანამოაზრე მეკარემ სერგო კოტრიკაძემ ორი პენალტი მოიგერია, და მაინც, შეხვედრის ბოლო წუთამდე სტუმრები აგებდნენ 1-2. თამაშის უკანასკნელ წამებზე მეტოქის კარისკენ დაიძრა მათი კაპიტანი და გაქვითა ანგარიში. უძნელესი მდგომარეობიდან გაიტანა ბურთი, რომელზეც თამაშის მერე თქვა: „კაცმა ორი პენალტი აიღო, და ასეთი თავდადება ხომ უნდა დაფასებულიყო...“

— იმ პერიოდში, — იხსენებს დინამოელთა იმდროინდელი მეკარე სერგო კოტრიკაძე, — გუნდში მწვრთნელები ხშირად იცვლებოდნენ. ჩვენ კი სერიოზული მიზანი გვქონდა დასახული — ქვეყნის ჩემპიონობა. და ცვალებადობის შედეგად წარმოქმნილ „ფანჯარაში“ გუნდის მწვრთნელობის ფუნქცია შოთას ჰქონდა დაკისრებული, და ვგონებ, კარგადართმევდა თავს. „დინამოს“ იმ გამარჯვებას (1964 წლის ქვეყნის ჩემპიონობას გულისხმობს) მწვრთნელებს მიხეილ იაკუშინსა და გავრილ კაჩალინს მიაწერენ. მე კი გეტყვით, ჩვენი კაპიტანი რომ არა, „დინამო“ ჩემპიონი ვერ გახდებოდა. იგივე იაკუშინი შემდეგ წლებში ხომ იყო თბილისელთა მწვრთნელი, მაგრამ ვერაფერს გახდა. ეს იმიტომ, რომ მას გვერდში არ ედგა ისეთი ამბიციური კაპიტანი, როგორიც შოთა იყო. იგი იმხელა ძალა იყო, რომ გვერდით მის დარ მოთამაშეს უნდა ჰქონოდა ადგილი. აქ იმას ვგულისხმობ, რომ ყველაფერთან ერთად, იგი ფიზიკურადაც შესანიშნავად იყო მომზადებული. და რა უფლება ჰქონდა მის მეწყვილეს ნახევარდაცვაში გიორგი სიჭინავას, თავისი კონდიციით რომ არ გასწორებოდა მას. იგი ვარჯიშის შემდეგ მინდორს ზედიზედ უვლიდა რბენით, კაპიტნის წინაშე რომ არ შერცხვენილიყო. აი, ასეთი თანამოაზრენი შემოიკრიბა ჩვენმა კაპიტანმა, რამაც, ვფიქრობ, სრულიად ლოგიკური შედეგი მოიტანა, რასაც ქართული „დინამოს“ ოლიმპზე აღზევება მოჰყვა.

სასუფეველი გქონოდეს იმქვეყნად, „ამბიციურო კაპიტანო!“

**უშანგ ჯიჯინაძე**



**შოთა იამანიძე**
**(1937–1971)**

**სპორტის დამსახურებული ოსტატი (1969), თავდამსხმელი და ნახევარმცველი. უმაღლესი განათლებით. თამაში დაიწყო 1951 წ. თბილისში, 35-ე საფეხბურთო სკოლაში. 1954-1967 — თბილისის „დინამოში“ ჩაატარა საკავშირო პირველობის 300 მატჩი, გაიტანა 66 გოლი. 1964 წლის სსრ კავშირის ჩემპიონი. 1959, 1962, 1967 წლების მე-3 პრიზიორი. ქვეყნის 33 საუკეთესოთა შორის — 3-ჯერ (ერთხელ №1), ჰქონდა უმაღლესი ტექნიკა, სრულად ფლობდა დრიბლინგის ხელოვნებას. თამაშის კარგი ორგანიზატორი იყო. ბოლო დროს მუშაობდა მსხვილი სამშენებლო ტრესტის მმართველად. დაჯილდოებული იყო მედლით, „შრომითი წარჩინებისათვის“ (1968).**

**„ВСЁ О ФУТБОЛЕ“**

***სურათზე: ძველი მეტოქეები — თბილისისა და კიევის დინამოელთა კაპიტნების ანდრეი ბიბასა და შოთა იამანიძის ტრადიციული მისალმება მატჩის წინ***

## ბავშვთა ლიგა. V ტური

ლოკომოტივი — ვაკე91 0-0
შევარდენი1906 — კახეთი 1-1
ავაზა — დინამო (ბთ) 7-0
შევარდენი — კოლხეთი 3-1
ხალიბი — მთვარის გლობუსი 0-3
ლაზიკა — ტონთიო 4-2

| | თ. | მ. | ფ | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შევარდ.1906** | 15 | 8 | 4 | 3 | 40-22 | 28 |
| **ვაკე91** | 15 | 8 | 3 | 4 | 22-19 | 27 |
| **შევარდ. (ქ)** | 15 | 7 | 4 | 4 | 19-13 | 25 |
| **მთ. გლობუსი** | 14 | 7 | 3 | 4 | 23-10 | 24 |
| **დინამო (ბთ)** | 15 | 6 | 5 | 4 | 13-23 | 23 |
| **ლოკომოტ.** | 14 | 6 | 4 | 4 | 13-16 | 22 |
| **ტონთიო** | 15 | 6 | 0 | 9 | 31-29 | 18 |
| **ხალიბი** | 15 | 5 | 3 | 7 | 21-23 | 18 |
| **ავაზა** | 15 | 5 | 3 | 7 | 23-23 | 18 |
| **კოლხეთი** | 15 | 5 | 2 | 8 | 17-20 | 17 |
| **კახეთი** | 15 | 5 | 2 | 8 | 17-22 | 17 |
| **ლაზიკა** | 15 | 3 | 3 | 9 | 18-36 | 12 |

*შენიშვნა: „ხალიბი“ მოიხსნა გათამაშებიდან.*

## ხსოვნის ტურნირი ხობში

ხობში ჩატარდა ბავშვთა ტურნირი ფეხბურთში, ქუთაისის, ზუგდიდის, აბაშისა და ხობის ექვსი გუნდის მონაწილეობით, რომელიც მიეძღვნა ხობის „კოლხეთის“ ყოფილი ფეხბურთელისა და საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ პრეზიდენტის ზურაბ ბუბუტეიშვილის ხსოვნას. ზურაბის სახელთანაა დაკავშირებული რაიონში პირველი საფეხბურთო კლუბის გადასვლა თვითდაფინანსებაზე. მისი ხელმძღვანელობით ორი გუნდი წარმატებით გამოდიოდა საკავშირო და რესპუბლიკის პირველობებზე, ამასთან, ფინანსურად ეხმარებოდა სპორტის სხვა სახეობებსაც.

ტურნირი საინტერესოდ ჩატარდა მთავარი მსაჯის ზურაბ ლატარიას ხელმძღვანელობით. პირველი ადგილი დაიკავა ზუგდიდის „ყოჩების“ პირველმა გუნდმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა ხობის „განათლება“. მესამე ადგილი ქუთაისის „ნორჩ დინამოელებს“ ხვდათ. საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, მოთამაშეები — სიგელებით.

სპეციალური პრიზები იმ მოთამაშეთათვის, ვინც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, გადაეცათ: გელა ძალამიძეს, ზვიად სიხარულიას, ირაკლი ჩაგელიას (ყველა — „ყოჩები“1, ზუგდიდი), ვიტალი მატვიენკოს, რეზო კილაძეს („ნორჩი დინამოელი“, ქუთაისი), გოგა კუციას, გიორგი ქვილითაიას („მილანი“, აბაშა), ირაკლი წურწუმიას, ბაკურ ბუკიას, ირაკლი ესებუას, ბექა ჩიტაიას, სულხან თოდუას („განათლება“, ხობი).

**ანზორ სანიკიძე,**
ხობის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

# ნომრიდან ნომრამდე

**● ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲛ უარყო ამ დღეებში გავრცელებული ცნობა, რომ მან შეიძლება დატოვოს „მილანი“ თუ მწვრთნელი მას ძირითადი შემადგენლობიდან გამოიყვანს. მას შემდეგ, რაც კიევის „დინამოდან“ კალაძე მილანში გადავიდა, მისივე თქმით, განიცდის წარუმატებლობას და არ გრძნობს მხარდაჭერას არც გუნდისგან და არც პრესისგან. დავძენთ, რომ „მილანის“ ამასწინანდელი მარცხი „პერუჯასთან“ გუნდმა და მასმედიამ კახი კალაძეს დააბრალა. „თუ დავრწმუნდი, რომ ჩემით აღარავინაა დაინტერესებული და ჩემი აღარ სჯერათ და არ ვითამაშებ ძირითად შემადგენლობაში, მირჩევნია წავიდე კლუბიდან“ — ამბობს ქართველი ლეგიონერი.**

● **ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ** ნაკრებისა და ესპანეთის „ბარსელონას“ ნახევარმცველმა რივალდომ, მას შემდეგ, რაც ტრავმის გამო სექტემბრის დასაწყისიდან მინდორზე აღარ გამოსულა, 7 ოქტომბერს ნაკრებში ითამაშა. 10 ოქტომბერს კი ჩემპიონთა ლიგის მატჩში საფრანგეთის „ლიონის“ წინააღმდეგაც დაეხმარა თავის კლუბს.

● **ᲠᲝᲒᲝᲠᲪ** „ლელოს“ წინა ნომერში ვწერდით, ამხანაგური მატჩი საფრანგეთისა და ალჟირის ნაკრებებს შორის „სტად დე ფრანსის“ სტადიონზე ჩაიშალა სტუმარი გუნდის გულშემატკივრების მინდორზე შეჭრის გამო. ერთი ხულიგანი უკვე გაასამართლეს და 30 დღე პატიმრობა მიუსაჯეს. დანარჩენი 17-ის სასამართლოც მალე გაიმართება. მათ ერთწლიანი პატიმრობა და 14-14 ათასი დოლარის გადახდა ემუქრებათ. მოსალოდნელია, რომ ფიფა მკაცრ სანქციებს მიიღებს ფრანგების მიმართ, რომლებმაც არ გაითვალისწინეს ორი ეროვნების ხალხის ისტორიული მტრობა და ვერ უზრუნველყვეს წესრიგი.

**● ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲔᲚᲘ ამომავალი ვარსკვლავი, როგორც უკვე უწოდებენ 17 წლის თავდამსხმელ მარიო ფილიპე ოლივეირას, „ჩელსის“ საკუთრება გახდა. ტრანსფერის ღირებულება არ სახელდება, მაგრამ ზოგიერთი წყაროს ცნობით, მარიო „ჩელსიმ“ „პორტუდან“ ნახევარ მილიონ ფუნტ სტერლინგად შეიძინა.**

● **ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ** გახდა, რომ ჩინეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა ახლო მომავალში ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვოს ბორა მილუტინოვიჩი.

## მწვრთნელები მიდიან და მოდიან...

**● ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა განაცხადა, რომ ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი მალე წავა თანამდებობიდან. „ჩათავდება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი და ნაკრებს ისეთი მწვრთნელი ეყოლება, რომელიც პარალელურად კიევის „დინამოში“ არ იმუშავებს“— თქვა სურკისმა. შემცვლელად ლეონიდ ბურიაკი მოიაზრება.**

**● ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი ვარუჟან სუკიასიანი თანამდებობიდან გადადგა. მიზეზი გახდა ეროვნული ნაკრების არადამაკმაყოფილებელი გამოსვლა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. საბოლოო წერტილი მოთმინებას მას შემდეგ დაესვა, რაც სომხებმა შინ წააგეს ნორვეგიელებთან 1-4.**

**● ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ნაკრებსაც ახალი მწვრთნელი ეყოლება. შვეციის მოქალაქის იგორ პონომარიოვის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის ნაკრებმა ახლა სწორედ შვედებთან წააგო, რაც პონომარიოვისთვის ბოლო მატჩი გამოდგა. ოლიმპიური ჩემპიონი აცხადებს, რომ აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი თავდება და მის გაგრძელებაზე ლაპარაკიც არ არის. სავარაუდოდ ნაკრების მწვრთნელებად სახელდებიან აგასალიმ მირჯავადოვი და კაზბეკ ტუაევი — „ნეფთჩის“ ახლანდელი მწვრთნელი.**

**● ᲛᲐᲮᲐᲩᲙᲐᲚᲘᲡ „ანჟის“ ყოფილმა დამრიგებელმა გაჯი გაჯიევმა წინასწარი თანხმობა განაცხადა დაიკავოს მწვრთნელ-კონსულტანტის პოსტი დაღესტნის „დინამოში“, რომელიც რუსეთის სამხრეთის მეორე დივიზიონში ასპარეზობს.**

**● ᲓᲔᲘᲕ ᲑᲐᲡᲔᲢᲘ ინგლისის „ლესტერის“ მთავარი მწვრთნელი გახდა. 12 დღის უკან ეს პოსტი დატოვა პეტერ ტეილორმა, რომლის ხელმძღვანელობით გუნდი სატურნირო ცხრილის ფსკერზე დაეშვა. ბასეტი ადრე მუშაობდა „უიმბლდონში“, „ბრონსლიში“ და „ნოტინგემში“.**

**● ᲑᲝᲚᲘᲕᲘᲘᲡ ნაკრების მთავარი მწვრთნელი არგენტინელი ხორხე ხაბეგერი, ეკვადორთან დამარცხების (1-5) შემდეგ, უმალვე დაითხოვეს პოსტიდან, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი წლის ბოლოს უმთავრდებოდა. 16 მატჩიდან მისი ხელმძღვანელობით გუნდმა მხოლოდ 14 ქულა მოაგროვა. ბოლივიის ნაკრების პოსტზე ხაბეგერმა შეცვალა კარლოს არაგონესა. ახლა კი თავად მის შემცვლელს ეძებენ.**

## ლიცეუმელები პრეზიდენტის თასს დაეუფლნენ

ბათუმში კიდევ ერთ საშვილიშვილო კერას ჩაეყარა საფუძველი. აჭარის განათლების სამინისტროს თაოსნობით ბათუმის ოცდამეშვიდე სკოლა 1 სექტემბრიდან სპორტულ ლიცეუმად გადაკეთდა. აქ უკვე 450-მდე მოსწავლეა გაერთიანებული და სპორტის იმ სახეობას დაეუფლებიან, რომელიც მათ იტაცებს. სამუშაო უკვე მოუხლავდათ ლიცეუმის დირექტორს გივი ხოზრევანიძეს, პედაგოგებს, ორგანიზატორს — მანანა შარაშიძეს, კიზაღზრდის სპეციალისტს თენგიზ კელაპტრიშვილს, ამაგდარ აღმზრდელს, გოგი შალამბერიძეს... ჯერჯერობით განსაკუთრებით აქტიურობენ ნორჩი ფეხბურთელები (1986-1987 წლებში დაბადებულნი). ისინი უკვე წარმატებით გამოვიდნენ აჭარის რეგიონულ ასპარეზობაში — საქართველოს პრეზიდენტის თასზე გამართულ ტურნირში.

საპატიო თასისათვის ექვსი გუნდი ჩაება ბრძოლაში. საბოლოოდ ფინალში ლიცეუმელებს მე-16 სკოლელ თანატოლებთან მოუხდათ ურთიერთობის გარკვევა. შეხვედრა უაღრესად ჟინიანად წარიმართა, რაზედაც მეტყველებს თვით შედეგი. სათამაშოდ განკუთვნილი დრო ფრედ 4-4 დასრულდა. გამარჯვებული ვერც დამატებითმა დრომ გამოავლინა. ჯერი პენალტების სერიაზე მიდგა. უფრო ზუსტები ლიცეუმელები აღმოჩნდნენ (4-2). მათვე გადაეცათ პრეზიდენტის თასი და I ხარისხის სიგელები. წინ ფინალია, გამარჯვებულს კი თვით პრეზიდენტი დააჯილდოვებს.

**ოთარ მურვანიძე,**
**„ლელოს“ კორ. აჭარაში**

## „ლაციოს“ ფანატები ლივერანს შეურაცხყოფენ

„ლაციოს“ გულშემატკივრები კიდევ ერთხელ გახდნენ არასასიამოვნო ინციდენტის გმირები რასისტული ნიშნით. „ლაციოს“ ბაზის მისადგომებთან გაჩნდა რასისტული წარწერები სვასტიკით და უხეში მიმართვები კლუბის ნახევარმცველის ფაბიო ლივერანის მისამართით, რომელიც „პერუჯადან“ გადავიდა „ლაციოში“ გასულ თვეში.

ლივერანს ჯერჯერობით არანაირი რეაგირება არ მოუხდენია ამ შეურაცხყოფაზე და კომენტარებისგანაც თავს იკავებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

## E ჯგუფი

**სელტიკი – რუსენბორგი 1-0**

***სელტიკი:*** დუგლასი, ვალგარენი, ბალდე, მიალბიუ, ტომპსონი (გაპი 66), ლამბერი, პეტროვი, ლენონი, აგატე, ლარსონი, სატონი.
***რუსენბორგი:*** არასონი, ოლსენი (ფ. იონსენი 86), ბ. იონსენი, ბასმა, ჰოფტენი, საარინენი, ბერგი, სკამელსრუდი, სტრანდი (ვინსენსი 82), რუშფელდტი, ბრატბაკი (ჯორჯე 74).
*გოლი:* ტომპსონი (21).

**პორტუ – იუვენტუსი 0-0**

***პორტუ:*** ოვჩინიკოვი, იბარა, მარიო სილვა, ანდრადე, კარვალიო, დეკო, პენა (პოსტიგა 66), პარადესი (სოდერსტრიომი 71), კოშტინია, კაპუჩო (ალენიჩევი 74), კლეიტონი.
***იუვენტუსი:*** ბუფონი, მონტერო, პესოტო (ძენონი 65) ტიურამი, ბირინდელი (პარამატი 12), ტუდორი, ტაკინარდი, ძამბროტა, დავიდსი, დელ პიერო, სალასი (ო,ნეილი 84).


ფეიენოორდი – ბაიერნი

| | თ. | მ. | ფ | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| იუვენტუსი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| პორტუ | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| რუსენბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |

## F ჯგუფი

**ბარსელონა – ლიონი 2-0**

***ბარსელონა:*** ბონანო, პუიოლი, გაბრი, დე ბური, ჯეოვანი (სავიოლა 46), კოკო, ხავი, კოკუ, ლუის ენრიკე (მოტა 90), კლიუვერტი, რივალდო (რაიციგერი 88).
***ლიონი:*** კუპე, დეფლიანდრე, ედმილსონი, კასაპა, ბრეშე, ფოე, ლაიგლი, მიულერი, ლინარესი (დელმოტი 83), გოვუ, ს. ანდერსონი (ლუინდულა 49, ნე 84).
*გოლები:* კლიუვერტი (79), რივალდო (87 პენ).

**ბაიერი – ფენერბახჩე 2-1**

***ბაიერი:*** ბუტი, შნაიდერი, ლუსიო, ნოვოტნი, პლასენტე, ბალაკი, რამელოვი, ბასთურკი, ზე რობერტო (ვრანიეში 90), კირსტენი (სებეშენი 86), ნოივილი (ბერბატოვი 68).
***ფენერბახჩე:*** რუშტუ, მერიჩი, ოგიუნი (გიუნესი 79), მირკოვიჩი, უმით ოზატი, ალი, ჯონსონი, რაპაიჩი, აბდულა, ლაზეტიჩი (აკინი 79), რევივო (ბაირაქტარი 64).
*გოლები:* 0-1 რევივო (6), 1-1 ლუსიო (36), 2-1 ბალაკი (59).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერი | 3 | 3 | 0 | 0 | 5-2 | 9 |
| ბარსელონა | 3 | 2 | 0 | 1 | 6-2 | 6 |
| ლიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-3 | 3 |
| ფენერბახჩე | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |

## G ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი – მანჩესტერი 0-2**

***ოლიმპიაკოსი:*** ელეფტეროპულოსი, პაცაცოგლუ, ანატოლაკისი, ვენეტიდისი, გიანაკოპოლუსი, კარამბე, ბერმუდესი, ზეტებერგი (ნინიადისი 66), ჯორჯევიჩი (ალექსანდრისი 80), კოსტულასი (ოფორი კუაიე 70), ჯოვანი.
***მანჩესტერი:*** ბარტეზი, გ. ნევილი, იონსენი, ბლანი, ირვინი (სილვესტრი (89), ვერონი (კოული 80), კინი, ბექჰემი, სქოულზი, ვან ნისტელროოი (სოლსკიაერი 85), გიგზი.
*გოლები:* ბექჰემი (66), კოული (82).


პორტუ – იუვენტუსი

**ლილი – დეპორტივო 1-1**

***ლილი:*** ვიმბე, სიგანი, ფახმი, ეკერი, პიშო, შეირუ (მიურატი 78), ლანდრენი (ბასირი 61), სტერჟოვსკი (ოლუფადე 74), ნ,დიაიე, ბაკარი, დ,ამიკო.
***დეპორტივო:*** მოლინა, რომერო, ნაიბეტი, ექტორი, დიუშერი, დონატო, ემერსონი, პანდიანი, ვიქტორი (სკალონი 71), ფრანი (ამავისკა 64), ვალერონი (სერხიო 79).
*გოლები:* 0-1 ვალერონი (49), 1-1 ოლუფადე (87).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| დეპორტივო | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 5 |
| ლილი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |

## H ჯგუფი

**ფეიენოორდი – ბაიერნი 2-2**

***ფეიენოორდი:*** ზუტებირი, ემერტონი, ვან ვონდრენი, დე ჰაანი, რჟასა (ვან ჰარენი 66), ბოსველტი, კოლენი, პაუვე, კალუ (ონო 74), დალ ტომასონი, ვან ჰოიდონკი.
***ბაიერნი:*** კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზიუ, ტიამი (ჰარგრეივსი 46), ფინკი (სფორცა 84), სალიჰამიჯიჩი, პაულო სერჟიო, პიზარო, ელბერი (სანტა კრუსი 79).
*გოლები:* 0-1 ელბერი (13), 1-1 ვან ჰოიდონკი (38), 2-1 დალ ტომასონი (45), 2-2 ელბერი (50).

**სპარტა – სპარტაკი 2-0**

***სპარტა:*** ჩეჰი, გრიგერა, ჰიუბშმანი, ნოვოტნი, ლაბანტი, სიონკო, ჰაშეკი, იაროშიკი, მიჰალიკი (ზელენკა 60), ჰარტიგი (გოლუბი 80), კინცლი (პაპუსეკი 90).
***სპარტაკი:*** ლევიცკი, კოვტუნი, ანანკო, მიტრევსკი, პარფიონოვი, ბულატოვი, ბარანოვი, ბეზროდნი (ციხმეისტრუკი 57), ტიტოვი, რობსონი (ლოვჩევი 61), ბესჩანსტნიხი.
*გოლები:* კინცლი (57), სიონკო (88).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 3 | 2 | 1 | 0 | 6-0 | 7 |
| ბაიერნი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| ფეიენოორ. | 3 | 0 | 2 | 1 | 4-8 | 2 |
| სპარტაკი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |


ლილი – დეპორტივო


ბაიერი – ფენერბახჩე

# გუშინ

UNDER-21 Championship

**უეფას შტაბბინაში ჩატარდა ევრო 2002 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდის წილისყრა. ნაკრებები შემდეგნაირად დაწყვილდნენ:**

პოლონეთი — იტალია
ხორვატია — ჩეხეთი
შვედეთი — ბელგია
საბერძნეთი — თურქეთი
რუმინეთი — საფრანგეთი
ჰოლანდია — ინგლისი
ესპანეთი — პორტუგალია
უკრაინა — შვეიცარია

***პირველი შეხვედრა 10-11 ნოემბერს, განმეორებითი 13-14 ნოემბერს.***

# გაქურდეს იტალიის „ბოლონიას“ ფეხბურთელი

ამ კლუბის ფეხბურთელი ჯოზეპე სენიორი ვარჯიშიდან შინ დაბრუნებისას გაქურდეს. მას წინ გადაუდგა ახალგაზრდა და მუქარით „როლექსის“ ოქროს საათი მოსთხოვა. რაკი მძარცველმა უარი მიიღო, ძალით წაგლიჯა ხელიდან. იგი თავის ამხანაგთან ერთად გაუჩინარდა მოტოციკლით. ფეხბურთელმა უმალ მიაკითხა პოლიციას და განაცხადა მომხდარის თაობაზე.

# ინგლისის ლიგის თასი

**III ეტაპი**

ბარნსლი — ნიუკასლი 0-1
ქოვენთრი — ჩელსი 0-2
ქრიუ — იფსვიჩი 2-3
ჯილინგემი — საუთჰემპტონი 0-2
ლესტერი — ლიდსი 0-6
ტრანმერი — ტოტენჰემი 0-4
ვესტ ბრომვიჩი — ჩარლტონი 0-1
ლივერპული — გრიმსბი 1-2 (დ.დ.)
უოტფორდი — ბრედფორდი 4-1
ასტონ ვილა — რედინგი 1-0
ბლექბერნი — მიდლსბრო 2-1 (დ.დ.)
ფულემი — დერბი 5-2
მანჩესტერ სიტი — ბირმინგემი 6-0
შეფილდ უენდეი — კრ. პალასი 2-2 (5-3 პენ)


ლესტერი – ლიდსი

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

## ჰოლანდია

ალკმაარი — პსვ 1-1
ბრედა — როდა 2-1
ვალვაიკი — გრააფსხაპი 2-0
ტვენტე — ტილბურგი 0-0
ჰერენვენი — უტრეხტი 1-2
აიაქსი — ნაიმეგენი 5-0

| | თ. | მ. | ფ | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 7 | 6 | 1 | 0 | 18-3 | 19 |
| ვიტესი | 7 | 4 | 3 | 0 | 8-2 | 15 |
| ფეიენოორდი | 6 | 4 | 1 | 1 | 13-2 | 13 |
| ვალვაიკი | 8 | 4 | 1 | 3 | 10-5 | 13 |
| ტილბურგი | 7 | 3 | 3 | 1 | 11-7 | 12 |
| უტრეხტი | 8 | 4 | 0 | 4 | 12-10 | 12 |
| ჰერენვენი | 7 | 3 | 2 | 2 | 14-6 | 11 |
| ალკმაარი | 8 | 3 | 2 | 3 | 9-9 | 11 |
| დენ ბოსხი | 8 | 2 | 4 | 2 | 11-10 | 10 |
| გრააფსხაპი | 8 | 3 | 1 | 4 | 10-11 | 10 |
| ბრედა | 7 | 3 | 1 | 3 | 11-15 | 10 |
| ტვენტე | 7 | 2 | 3 | 2 | 8-9 | 9 |
| პსვ | 8 | 2 | 2 | 4 | 11-16 | 8 |
| ნაიმეგენი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-16 | 8 |
| გრონინგენი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-14 | 7 |
| სპარტა | 8 | 1 | 4 | 3 | 6-15 | 7 |
| სიტარდი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-13 | 5 |
| როდა | 8 | 1 | 1 | 6 | 7-16 | 4 |

## ბელგია

ლუვიე — ლომელი 0-0
ანდერლეხტი — გენტი 2-0
გენკი — აალსტი 5-0
ლიერსი — ბრიუგე 0-2
მუსკრონი — ბეერსხოტი 3-1
ვესტერლო — სტ. ტრუიდენი 0-0
ლოკერენი — მოლენბეკი 4-0
ბევერენი — სტანდარდი 1-1
ანტვერპენი — შარლერუა 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენტი | 8 | 7 | 0 | 1 | 17-9 | 21 |
| ბრიუგე | 7 | 6 | 0 | 1 | 18-7 | 18 |
| გენკი | 8 | 5 | 2 | 1 | 25-12 | 17 |
| აალსტი | 8 | 5 | 1 | 2 | 12-12 | 16 |
| ანდერლეხტი | 7 | 4 | 2 | 1 | 17-8 | 14 |
| სტანდარდი | 7 | 3 | 3 | 1 | 9-6 | 12 |
| სტ. ტრუიდენი | 8 | 3 | 3 | 2 | 15-13 | 12 |
| შარლერუა | 7 | 3 | 2 | 2 | 7-8 | 11 |
| ლომელი | 8 | 3 | 2 | 3 | 14-18 | 11 |
| ლოკერენი | 7 | 3 | 1 | 3 | 12-8 | 10 |
| ბეერსხოტი | 8 | 2 | 4 | 2 | 17-14 | 10 |
| მუსკრონი | 8 | 3 | 0 | 5 | 12-11 | 9 |
| ლიერსი | 8 | 2 | 3 | 3 | 8-11 | 9 |
| ანტვერპენი | 8 | 2 | 2 | 4 | 11-12 | 8 |
| ვესტერლო | 7 | 2 | 1 | 4 | 12-13 | 7 |
| ბევერენი | 8 | 0 | 3 | 5 | 6-22 | 3 |
| ლუვიე | 8 | 0 | 2 | 6 | 7-23 | 2 |
| მოლენბეკი | 8 | 0 | 1 | 7 | 5-17 | 1 |

## რუსეთი

ცსკა — ფაკელი 5-1
სატურნი — დინამო 6-1
ტორპედო ზილი — კრილია სოვეტოვი 1-0
როსტსელმაში — ტორპედო 5-2
როტორი — ალანია 3-0
ჩერნომორეცი — ლოკომოტივი 2-1
სოკოლი — ზენიტი 0-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 25 | 14 | 8 | 3 | 46-23 | 50 |
| ზენიტი | 26 | 14 | 7 | 5 | 47-30 | 49 |
| ლოკომოტივი | 26 | 14 | 6 | 6 | 48-22 | 48 |
| სატურნი | 27 | 12 | 8 | 7 | 40-19 | 44 |
| კრილია სოვეტ. | 26 | 12 | 7 | 7 | 32-20 | 43 |
| ტორპედო | 26 | 12 | 6 | 8 | 46-39 | 42 |
| ცსკა | 27 | 10 | 11 | 6 | 34-26 | 41 |
| სოკოლი | 28 | 11 | 5 | 12 | 28-39 | 38 |
| დინამო | 27 | 8 | 8 | 11 | 34-45 | 32 |
| როტორი | 27 | 8 | 7 | 12 | 36-37 | 31 |
| ანჟი | 26 | 7 | 10 | 9 | 25-27 | 31 |
| როსტსელმაში | 27 | 7 | 7 | 13 | 26-38 | 28 |
| ალანია | 27 | 7 | 7 | 13 | 27-41 | 28 |
| ტორპ. ზილი | 27 | 6 | 9 | 12 | 19-33 | 27 |
| ფაკელი | 27 | 7 | 4 | 16 | 26-44 | 25 |
| ჩერნომორეცი | 27 | 5 | 8 | 14 | 16-47 | 23 |

## ავსტრია

კერნტენი — შტურმი 2-0
აუსტრია — ტიროლი 0-1
ბრეგენცი — რაპიდი 2-1
გრაცერი — რიდი 3-0
ზალცბურგი — ადმირა 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 12 | 10 | 2 | 0 | 32-1 | 32 |
| შტურმი | 13 | 8 | 3 | 2 | 24-11 | 27 |
| გრაცერი | 14 | 7 | 3 | 4 | 29-21 | 24 |
| კერნტენი | 13 | 6 | 3 | 4 | 14-16 | 21 |
| ზალცბურგი | 14 | 5 | 4 | 5 | 13-15 | 19 |
| ბრეგენცი | 14 | 4 | 4 | 6 | 16-28 | 16 |
| რაპიდი | 14 | 4 | 3 | 7 | 14-20 | 15 |
| აუსტრია | 14 | 3 | 5 | 6 | 18-21 | 14 |
| რიდი | 14 | 2 | 6 | 6 | 20-26 | 12 |
| ადმირა | 14 | 2 | 1 | 11 | 10-31 | 7 |

## შვეიცარია

არაუ — სიონი 2-2
ბაზელი — სტ. გალენი 2-2
ლუგანო — ლუცერნი 5-0
ქსამაქსი — სერვეტი 1-3
იანგ ბოისი — გრასხოპერი 1-3
ციურიხი — ლოზანა 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 14 | 7 | 3 | 4 | 24-16 | 24 |
| ლუგანო | 14 | 7 | 3 | 4 | 27-20 | 24 |
| ბაზელი | 14 | 7 | 3 | 4 | 31-25 | 24 |
| გრასხოპერი | 14 | 7 | 2 | 5 | 33-21 | 23 |
| იანგ ბოისი | 14 | 6 | 4 | 4 | 27-21 | 22 |
| სტ. გალენი | 14 | 6 | 4 | 4 | 28-24 | 22 |
| არაუ | 13 | 5 | 5 | 3 | 19-14 | 20 |
| ციურიხი | 14 | 5 | 5 | 4 | 17-20 | 20 |
| სიონი | 14 | 5 | 3 | 6 | 21-21 | 18 |
| ქსამაქსი | 14 | 4 | 5 | 5 | 17-17 | 17 |
| ლოზანა | 14 | 2 | 3 | 9 | 12-32 | 9 |
| ლუცერნი | 13 | 1 | 2 | 10 | 13-38 | 5 |

## დანია

ოლბორგი — ლიუნგბიუ 2-1
ბრონდბიუ — ვაილე 2-1
მიდტიულანდი — აკადემისკი 2-2
კოპენჰაგენი — ორჰუსი 3-0
სილკებორგი — ესბიერგი 3-4
ვიბორგი — ოდენსე 2-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 11 | 8 | 2 | 1 | 29-5 | 26 |
| ოლბორგი | 11 | 8 | 1 | 2 | 21-14 | 25 |
| ესბიერგი | 11 | 6 | 1 | 4 | 18-19 | 19 |
| კოპენჰაგენი | 11 | 5 | 3 | 3 | 15-10 | 18 |
| აკადემისკი | 11 | 4 | 5 | 2 | 17-12 | 17 |
| მიდტიულანდი | 11 | 3 | 6 | 2 | 10-9 | 15 |
| ოდენსე | 11 | 3 | 4 | 4 | 16-17 | 13 |
| ლიუნგბიუ | 11 | 2 | 6 | 3 | 12-13 | 12 |
| ვიბორგი | 11 | 2 | 5 | 4 | 13-15 | 11 |
| ვაილე | 11 | 2 | 4 | 5 | 14-23 | 10 |
| ორჰუსი | 11 | 1 | 4 | 6 | 8-20 | 7 |
| სილკებორგი | 11 | 0 | 3 | 8 | 8-24 | 3 |

## ფინეთი

იორკერიტი — ტამპერე 0-3
ატლანტისი — ვაასა 1-2
ინტერი — ჰიკი 0-2
ლაჰტი — როვანიემი 3-2
მიუპა — კუოპიო 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკი | 29 | 17 | 9 | 3 | 58-16 | 60 |
| მიუპა | 30 | 16 | 9 | 5 | 44-23 | 57 |
| ტამპერე | 29 | 17 | 5 | 7 | 42-31 | 56 |
| ჰაკა | 29 | 13 | 7 | 9 | 40-26 | 46 |
| ინტერი | 30 | 14 | 4 | 12 | 41-41 | 46 |
| ატლანტისი | 29 | 10 | 9 | 10 | 38-42 | 39 |
| ვაასა | 29 | 11 | 3 | 15 | 40-48 | 36 |
| ლაჰტი | 29 | 8 | 9 | 12 | 35-42 | 33 |
| კუოპიო | 29 | 7 | 9 | 13 | 27-39 | 30 |
| ჯაზი | 29 | 6 | 9 | 14 | 29-46 | 27 |
| იორკერიტი | 29 | 7 | 6 | 16 | 29-50 | [illegible] |
| როვანიემი | 29 | 5 | 9 | 15 | 23-42 | 24 |

ეროვნული ბიბლიოთეკა


# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №11 (19) ოქტომბერი, 2001 წელი


W.S.K.F.

# საქართველო - ჩემპიონია

ბრავო!

## საქართველომ კარატეს ევროპულ სამყაროში საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი, როგორც ერთ-ერთმა წამყვანმა











მსაჯთა კოლეგია









**საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმი მადლობას უხდის ევროპის ჩემპიონატის მაღალდონეზე ჩატარებაში საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი მეძმარიაშვილს, თბილისის მერიას, საქართველოს მოქალაქეთა კავშირს, საქართველსო თავდაცვის სამინისტროს და თბილისის მერიის სკოლის გარეშე აღზრდის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსს ბატონ დავით ჭელიძეს. ფირმა „შევრონის“ რეგიონალურ დირექტორ ბატონ დავით ხუროძეს „სარაჯიშვილი და კომპანი“-ას პრეზიდენტ ბატონ გუჯა ბუბუტეიშვილს, მინერალურ წყლებს ბორჯომს, ნაბეღლავს და ყველა საინფორმაციო მხარდამჭერს.**

**დასრულდა** კარატეს ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც 5-7 ოქტომბერს თბილისმა უმასპინძლა. შეიძლება ითქვას, ისე კარგად, როგორც ჩანაფიქრი იყო.

გაიმარჯვა კარატეს ქართულმა სკოლამ, მთელმა ევროპამ და მსოფლიომაც გაიგო და კიდევ ერთხელ კარგად გაიცნო ჩვენი შესაძლებლობები, თუმცა, ვფიქრობ ბოლომდე მაინც ვერა... შეიძლება აღსრულებულ ოცნებად ჩავთვალოთ ქართველი კარატისტებისთვის... აქ ხომ ერთ დროს ყოვლად წარმოუდგენელი და არაერთგზის ნაოცნებარი ახდა.

კიდევ იტყვის ვინმე - საქართველოში ასეთი ღონისძიების ჩატარება შეუძლებელიაო? ალბათ არა, არა კი არა - ვერა! მაგრამ იმას თუ მაინც იტყვიან. აღიარებენ, რომ ტიტანური შრომა გასწია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ და მისმა თანამოაზრეებმა. ძნელია, ძალზედ ძნელი, თუ რამხელა ძალა და ენერგია სჭირდება ჯერ აქამდე მოსვლას, რომ ევროპის ჩემპიონატის ჩატარების უფლება მოიპოვო, შემდეგ კი ვთქვათ, რომ ძნელია კულუარებში დანახვა...

მოდით კიდევ ერთხელ, ძალიან მოკლე ექსკურსი გავაკეთოთ ამ ფედერაციაში: შეიქმნა 1996 წელს... დაარსებიდან ხუთი წელი გავიდა მხოლოდ და რას იტყვით შედეგზე? შედეგზე კი არა და უდიდეს მიღწევაზე. თუმცა ზოგი, მაინც ცინიკურად არიან განწყობილნი და ანტი კომპლიმენტებს არ იშურებენ, არც სიტყვით და არც კალმით, რაც, ვფიქრობ არამართებულია. რომელმა სპორტულმა ფედერაციამ



ან ორგანიზაციამ შესძლო ამ გაუსაძლის პირობებში ასეთი მასშტაბური ღონისძიების ჩატარება მითხარით და... მერე ერთად ვაკრიტიკოთ კარატეს ეროვნული ფედერაცია. მაგრამ არც ამ შემთხვევაში არ ვიქნებით მთლად მართლები. გადავხედოთ ჩამოსულ, საკმაოდ სოლიდურ 18 ქვეყანას და 1200 სპორტსმენს თავად დარწმუნდებით ამ ჩემპიონატის დონეში. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც ევროპასა და მთლიანად მსოფლიოში საკმაოდ სერიოზულ ძალად რომ მოიაზრებიან კარატეს სამყაროში.

სხვათა შორის საქართველოს ერთი უჩვეულო გუნდი ჰყავდა - კოსოვო, რომლის ხელმძღვანელიც უკვე ცნობილი კინოვარსკვლავი ენვერ იდრიზი იყო (ამ ბრწყინვალე სპორტსმენმა სულ ახლახანს ცნობილ კინოვარსკვლავ და კარატისტ ჟან კლოდ ვანდამთან გადაიღო ფილმი) სწორედ ენვერ იდრიზმა ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა - „საქართველო ბრწყინვალე ქვეყანაა. შესანიშნავი გუნდი გყოლიათ კარატეში, შეგიძლიათ იამაყოთ მათით“. აქვე გეტყვით, რომ ევროპის ჩემპიონატის ჩატარების მსურველი უამრავი ქვეყანა იყო, მაგრამ საქართველო შეარჩია სენსეი ჰიტოში კასუიამ, რაც, ვფიქრობ, სამართლიანიც არის. თქვენ ნამდვილად დაიმსახურეთ ეს ევროპის ჩემპიონატიც და გამარჯვებაც, რომელიც, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ნამდვილად დამსახურებულად მოიპოვეთ". თავად კოსოვოს კი ერთ-ერთი უძლიერესი გ უ ნ დ ი ჰყავდა, რომელმაც უდიდესი სიმპატია დაიმსახურა ქართველ გულშემატკივრებში.

არ შეიძლება, რომ არ აღინიშნოს ერთი: ქართველმა კარატისტებმა კიდევ ერთხელ გვასახელეს ევროპაში, მოდით ყველამ ერთად ვაღიაროთ და მივულოცოთ მათ ეს დიდი გამარჯვება.

ძნელია შეაფასო ეს დიდი მოვლენა - გამარჯვება ასე იოლად, თუმცა სტუმრებმა უკვე კარგად შეაფასეს და კმაყოფილნიც დაბრუნდნენ სახლებში, ზოგი წაგებული და ზოგიც მოგებული, თუმცა ყველა გამარჯვებული.

რაც შეეხება საბოლოო შედეგებს: არც ინტუიციამ და არც კარატეს ნაკრებმა, არ გვიმტყუნა, წარმატებულნი ვართ ამჯერადაც. მოპოვებულ მედალთა რაოდენობა ყველაზე მეტი ჩვენზე მოდის - 62, მათ შორის 17 ოქრო, 21 ვერცხლი და 29 ბრინჯაო. მეორე ადგილი დამსახურებულად აზერბაიჯანს ერგო 36 მედლის მოპო-



ენვერ იდრიზი და ჟან კლოდ ვანდამი

ვებით, ხოლო მესამეს ბელორუსები დასჯერდნენ 29 მედლის ოდენობით. ასე შედგა ევროპის ჩემპიონატის შესანიშნავი სამეული, რომლის მეთაურიც საქართველოა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ქართველო კარატისტებო და მთლიანად საქართველოვ ამ დიდი წარმატებას, უფრო დიდი წარმატების საწინდრად. მაგრამ ერთს შეგახსენებთ - ამით თვითკმაყოფილებას და მის მაცდურ ნეტარებას არ მიეცეთ. თუმცა, აქვე გეტყვით, ერთსაც - უფრო მეტის მიღწევა იყო საჭირო, ეს ხომ პირველი იყო თქვენ ეს შეგეძლოთ, თავისუფლად!.. შეგეძლოთ ნამდვილად, მაგრამ... ვფიქრობ ამის შემდეგ უფრო მეტს გააკეთებთ, ეს დღე ხომ თქვენთვის დიდი გაკვეთილიც იყო და პატარაც, მწარეც და...

***მაშ ასე, შემდეგი წარმატებისაკენ!***

# ჩვენი იუბილარი - 50

**ევროპის ჩემპიონატის დახურვის დღეს, 7 ოქტომბერს, 50 წელი შეუსრულდა არაერთგზის ღვაწლმოსილ *თემურ რამიშვილს.***

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა და საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანი ედვარდ სურმანიძე დაბადების დღეს ულოცავენ თემურ რამიშვილს, რომელიც არის მსოფლიოს კარატე-დოს მე-5 დანის მფლობელი.



მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდიუმისა და მსაჯთა კოლეგიის წევრი.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საბრძოლო ხელოვნებათა აკადემიის ნამდვილი წევრი - აკადემიკოსი; აღმოსავლური საბრძლო ხელოვნების ექსპერტი; საერთაშორისო A კატეგორიის მსაჯი.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე.

საქართველოს შიტორიუ კარატე-დოს ასოციაციის პრეზიდენტი.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი სპეციალური მომზადების საკითხებში (1999 წ.)- პოლკოვნიკი.

ქ. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის კონსულტანტი (2000 წ.).

თემურ რამიშვილი 50 წლისთავის იუბილარია, რომელმაც 33 წელი საქართველოში კარატეს განვითარებასა და პოპულარიზაციას მიუძღვნა.

1968 წ. - აღმოსავლური ორთაბრძოლების ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოში.

1978-1983 წწ. - საქართველოს პირველი ეროვნული ნაკრების მწვრთნელი, რომელიც ძირითადად მისი აღმზრდელებით იყო დაკომპლექსებული.

1982 წ. - მისმა სპორტსმენებმა საბჭოთა კავშირის პირველ ჩემპიონატზე 5 ოქროსა და 3 ბრინჯაოს მედლები მოიპვეს, მოგვიანებით საქართველოს დამოკიდებული რესპუბლიკის პირველობაზე 4 ოქროსა და 3 ბრინჯაოს მედლების მფლობელები გახდნენ.

1991-1993 წწ. - ამზადებდა საქართველს შეიარაღებული ძალების სპეცდანიშნულების რაზმებს და მონაწილეობდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის საომარ მოქმედებებში.

აღზარდა მსოფლიო ჩემპიონი, იაპონიის აბსოლიტური ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი და არაერთი საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები.

1996 წ. - საქართველოს კარატე-დოს დამფუძნებელი და იმავე წელს მსაჯთა პროფესიონალური ლიგის დამაარსებელი.

1998 წ. - ქ. ტოკიოში, მსოფლიო ჩემპიონატზე აღიარებულ იქნა საუკეთესო მსაჯად.

2000 წ. - საქართველოს სპორტის დეპარტამენტის მიერ აღიარებულ იქნა ქ.თბილისის საუკეთესო მსაჯად.

2001 წ. - საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, რომლის უშალო ორგანიზატორობით საქართველოში პირველად 2-8 ოქტომბერს გაიმართება ევროპის ჩემპიონატი კარატე-დოში.

# მსოფლიო შოტოკან კარატე-დოს ფედერაცია
# მესამე ევროპის ჩემპიონატი კარატე-დოში
# 5-7 ოქტომბერი 2001-10-12 თბილისი/საქართველო

## ევროპის ჩემპიონატი თბილისი 2001-ის შედეგები

*ჩემპიონატში მონაწილე ქვეყნები:*

| ქვეყნები | მედლების რაოდენობა ოქრო, | ვერცხლი, | ბრინჯაო | მოპოვებული მედლების რაოდენობა ჯამი |
|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 17 | 21 | 29 | 67 |
| 2. რუსეთი | 0 | 3 | 4 | 7 |
| 3. უკრაინა | 2 | 11 | 7 | 20 |
| 4. სომხეთი | 0 | 1 | 2 | 3 |
| 5. აზერბაიჯანი | 16 | 7 | 13 | 36 |
| 6. ბელარუსია | 15 | 13 | 1 | 29 |
| 7. კოსოვო | 3 | 0 | 8 | 11 |
| 8. იუგოსლავია | 0 | 0 | 3 | 3 |
| 9. გერმანია | 0 | 0 | 0 | 0 |
| 10. ჩეხოსლოვაკია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 11. თურქეთი | 0 | 1 | 11 | 12 |
| 12. მოლდვა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 13. ბულგარეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 14. ისრაელი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 15. პოლონეთი | 0 | 3 | 0 | 3 |
| 16. ლიტვა | 0 | 0 | 3 | 3 |
| 17. ლატვია | 1 | 0 | 3 | 4 |

*ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 1200 სპორტსმენმა.*

..................

### ვეტერანების შედეგები

***1. ინდივიდუალური კატა. მამაკაცები და ქალები 38+ წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | ვილკინა სვეტლანა | ბელარუსია |
| 2 ადგილი | რზაევა სახიბ | აზერბაიჯანი |
| 3 ადგილი | მამადოვი ოკტაი | აზერბაიჯანი |

***2. ინდივიდუალური კუმიტე. მამაკაცები 38+ წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | ხუციშვილი ბესო | საქართველო |
| 2 ადგილი | ყურაშვილი გიორგი | საქართველო |
| 3 ადგილი | ჰატამოვი ნიაზი | აზერბაიჯანი |
| 3 ადგილი | რზაევ სახიბ | აზერბაიჯანი |

***3. ჯიუ-კუმიტე. მამაკაცები 38+ წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | ხუციშვილი ვეფხო | საქართველო |
| 2 ადგლი | ჰატამოვი ნიაზი | აზერბაიჯანი |
| 3 ადგილი | ლენკოვი ა.ი. | ბულგარეთი |
| 3 ადგილი | ლიაშევი იგორი | რუსეთი |

..............

***6. ინდივიდუალური კუმიტე. მამაკაცები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | ჯლამაძე ანტონი | საქართველო |
| 2 ადგილი | სახვაძე რამაზი | საქართველო |
| 3 ადგილი | ბენ-ჰაროჩი | ისრაელი |
| 3 ადგილი | ცერცვაძე კობა | საქართველო |

***7. ინდივიდუალური კუმიტე. ქალები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | იბრაჰიმი ჰამიდე | კოსოვო |
| 2 ადგილი | მატიუშკინა ოლგა | უკრაინა |
| 3 ადგილი | შენგელია შორენა | საქართველო |

***8. ჯიუ-კუმიტე. მამაკაცები - 75 კგ.***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | იდრიზი ენისი | კოსოვო |
| 2 ადგილი | ბოგიროვი ასივ | აზერბაიჯანი |
| 3 ადგილი | გლინსკი დენისი | ლიტვა |
| 3 ადგილი | მანძულაშვილი ალიკა | საქართველო |

***9. ჯიუ-კუმიტე. მამაკაცები + 75 კგ.***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | ჰამატოვი რახმანი | აზერბაიჯანი |
| 2 ადგილი | ბურჯანაძე ზაზა | საქართველო |
| 3 ადგილი | გაში ნაზმი | კოსოვო |
| 3 ადგილი | მამედოვი რამზი | აზერბაიჯანი |

***10. გუნდური კუმიტე. მამაკაცები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | მამედოვი ვ., ნაჯიფოვი ფ., ჰამატოვი რ., ჰუსეინოვი ს., ჯაფაროვი ვ., ბაგიროვი | აზერბაიჯანი |
| 2 ადგლი | კოსი ი., ნიკოლაი ა., წურწუმია ნ., გორბოვოი ო., ვილოსკორსკი რ., პინკევიჩი | უკრაინა |
| 3 ადგილი | გოლოშვილი, გაჩეჩილაძე, სააკაშვილი, სადალაშვილი, სახვაძე | საქართველო |
| 3 ადგილი | ლატიფი ა., ბირიშა ს., გაში ჰ., ტოსუნა ა., იდრიზი ე., ნურედინი ზ. | კოსოვო |

***11. გუნდური კუმიტე. ქალები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | ზ...იანი ს., იბრაჰიმი ჰ., ბეადინი მ. | კოსოვო |
| 2 ადგილი | ვილკინა ო., კატვიცკაია, ალეხევა, ნოვაშინსკაია | ბელორუსია |
| 3 ადგილი | მამედოვა, ბუტაევა ი., იუსუბოვა ს. | აზერბაიჯანი |
| 3 ადგილი | მატიჯანჩკ ო., გასინეცი მ., კლემეშინა ა., კურტიან | უკრაინა |

..............

***1. ინდივიდუალური კატა. მამაკაცები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | მუსევ ჩაიალ | აზერბაიჯანი |
| 2 ადგილი | ისმაილოვ იასინ | აზერბაიჯანი |
| 3 ადგილი | რუცკინი ნიკოლოზი | ბელარუსია |

***2. ინდივიდუალური კატა. ქალები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ალგილი | ვილკიან სვეტლანა | ბელარუსია |
| 2 ადგილი | ვილკინა ოლგა | ბელარუსია |
| 3 ადგილი | სვანიძე ლელა | საქართველო |

***3. გუნდური კატა. მამაკაცები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | მუსაევა ს., სულთანოვა ო., სულთანოვა ნ. | აზერბაიჯანი |
| 2 ადგილი | ნაზარენკო ა., როზანოვ ი., განაპოლსკი ა. | ბელარუსია |
| 3 ადგილი | მესხი ზ., წურწუმია ნ., მახარაძე ჰ. | საქართველო |

***4. გუნდური კატა. ქალები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | ვილკინა ს., ნოვოშინსკაია ვილკინა ო., | ბელარუსია |
| 2 ადგილი | ალეხევა მ., რიაბოვი ა., სინიავსკაია ჰ. | რუსეთი |
| 3 ადგილი | გოკალფ ო., გედიკ ლ., ერსინ ი. | თურქეთი |

***5. გუნდური და შერეული კატა.***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | როზანოვი ი., ვილკინა ს., ნოვაშინსკაია ი. | ბელარუსია |
| 2 ადგილი | გრაფზევსკი თ., ზაკოვიჩ ი., მარკიევიჩ კ. | პოლონეთი |
| 3 ადგილი | მესხი ზ., მახარაძე ჰ., ნუცუბიძე ნ. | საქართველო |

....................

***13. ინდივიდუალური კუმიტე. ჭაბუკები 16-17წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | გოლოშვილი გიორგი | საქართველო |
| 2 ადგილი | ატაევი ამალი | აზერბაიჯანი |
| 3 ადგილი | ადამიანი გარსევანი | საქართველო |
| 3 ადგილი | მეჰდიევი მუსეივ | აზერბაიჯანი |

***14. ინდივიდუალური კუმიტე. გოგონები 8-9 წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | პატაშური ნინო | საქართველო |
| 2 ადგილი | თავაძე ანა | საქართველო |
| 3 ადგილი | მაისურაძე ნინო | საქართველო |

***15. ინდივიდუალური კუმიტე. გოგონები 10-11 წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | ფურქია ნათია | საქართველო |
| 2 ადგილი | ტურაბელიძე სალომე | საქართველო |
| 3 ადგილი | სულამანიძე ნათია | საქართველო |

***16. ინდივიდუალური კუმიტე. გოგონები 12-13 წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | გოგბერაშვილი ქეთინო | საქართველო |
| 2 ადგილი | სმაჯლი ქალთრინა | თურქეთი |
| 3 ადგილი | ჯოჯუა ნინო | საქართველო |

***18. ინდივიდუალური კუმიტე. გოგონები 14-15 წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | მელუა თათია | საქართველო |
| 2 ადგილი | გიორგაძე მაკა | საქართველო |
| 3 ადგილი | იანატეევა ნადეჟდა | უკრაინა |
| 3 ადგლი | ქანთარია ინგა | საქართველო |

***19. ინდივიდუალური კუმიტე. გოგონები 16-17 წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | ვუსიფოვა შანკუნი | აზერბაიჯანი |
| 2 ადგილი | მუფაევა გულნარა | აზერბაიჯანი |
| 3 ადგილი | ბიადინი მარიგონა | კოსოვო |
| 3 ადგილი | მანიუკ იულია | უკრაინა |

***20. გუნდური კუმიტე. გოგონები 16-17 წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | გოლოშვილი გ., ადამიანი გ., აბრამიშვილი დ., ჩაჩანიძე თ. | საქართველო |
| 2 ადგილი | სტეცი ი., წურწუმია ნ., აფონინი ა., პენტელიაჩუკი ო. | უკრაინა |
| 3 ადგილი | სიატოვ რ., ალიევ ნ., ჰუსეინზადე ე., სულტანოვ ნ. | თურქეთი |
| 3 ადგილი | ატაევი ა.,კ ალიევ პ., საფაროვ ჰ. მენდიევა | აზერბაიჯანი |

..............

***6. გუნდური კატა. ვაჟები 14-17 წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | სნეგიროვი გ., კუჩმასოვი ო., თმილინი ი. | ბელარუსია |
| 2 ადგილი | აბრამიშვილი დ., ხმალაძე ვ., გორელაშვილი ლ. | საქართველო |
| 3 ადგილი | სლესარჩკი ი., ვილკინა ა., ვორონოვიჩი ა. | რუსეთი |

***7. გოგონების გუნდური და შერეული კატა 8-13 წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | გოგბერაშვილი ქ., გავაშელი ე., ჭუბაბრია დ. | საქართველო |
| 2 ადგილი | შაბლინსკაია ს., ბარმატინა ი.,კ კოტელნიკოვა ი. | ბელარუსია |
| 3 ადგილი | კანდზარ ო., ქოლსკულ შ., ხანდაზ რ. | თურქეთი |

***8. გოგონების გუნდური და შერეული კატა 14-17 წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | სუსპიციანა ა., რუბალკო ნ., ჩევჩიკ თ. | ლატვია |
| 2 ადგილი | ჭელიძე დ., შენგელია თ., სვანიძე დ. | საქართველო |
| 3 ადგილი | მუჯანოვიჩ რ., ვიგოვაც მ., სავის პ. | იუგოსლავია |

***9. ინდივიდუალური კუმიტე. ჭაბუკები 8-9 წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | ხაბეიშვილი შორენა | საქართველო |
| 2 ადგილი | ვეკუა ჰენრი | საქართველო |
| 3 ადგილი | მორის პავლ | ჩეხოსლოვაკია |
| 3 ადგილი | ჩაფოძე ბექა | საქართველო |

***10. ინდივიდუალური კუმიტე. ჭაბუკები 10-11 წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | ორუჯლუ ნიჯატი | აზერბაიჯანი |
| 2 ადგილი | კიასინიანი იაე | სომხეთი |
| 3 ადგილი | ყიფშიძე ზურა | საქართველო |
| 3 ადგილი | ისკანდარიანი ნარეკი | სომხეთი |

***11. ინდივიდუალური კუმტე. ჭაბუკები 12-13 წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | გორელაშვილი ლევანი | საქართველო |
| 2 ადგილი | ტყებუჩავა დათო | საქართველო |
| 3 ადგილი | ჩირინოვი ისრაელი | აზერბაიჯანი |
| 3 ადგილი | კუხიანიძე ბექა | საქართველო |

***11. ინდივიდუალური კუმიტე. ჭაბუკები 14-15 წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | ალიევი ნაზი | აზერბაიჯანი |
| 2 ადგილი | ჩაჩანიძე თორნიკე | საქართველო |
| 3 ადგილი | ოგანიანი ვანუკ | სომხეთი |
| 3 ადგლი | ტყებუჩავა ირაკლი | საქართველო |

....................

***1. ინდივიდუალური კატა. ჭაბუკები 8-13 წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | სავჩიცი ზახარ | ბელარუსია |
| 2 ადგილი | ვეკუა ჰენრი | საქართველო |
| 3 ადგილი | კუხიანიძე ბექა | საქართველო |

***2. ინდივიდუალური კატა. ჭაბუკები 14-17 წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | წურწუმია ნიკა | უკრაინა |
| 2 ადგილი | სნეგიროვი გორდეი | ბელარუსია |
| 3 ადგილი | ლაპიაშვილი გიგა | საქართველო |

***3. ინდივიდუალური კატა. გოგონები 8-13 წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | მამადოვა ჩადიგა | აზერბაიჯანი |
| 2 ადგილი | გოგბერაშვილი ქეთინო | საქართველო |
| 3 ადგილი | იაგლი ჰანულ | თურქეთი |

***4. ინდივიდუალური კატა. გოგონები 14-17 წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | მანიუკ იულია | უკრაინა |
| 2 ადგილი | გორგაძე მაკა | საქართველო |
| 3 ადგილი | ძაძამია ანა | საქართველო |

***5. გუნდური კატა. ჭაბუკები 8-13 წლები***

| | | |
|---|---|---|
| 1 ადგილი | სავჩიცი ზ., სამეცი ი., ვისნევსკი კ. | ბელარუსია |
| 2 ადგილი | შენგელია ი., კუხიანიძე ვ., ჭელიძე დ. | საქართველო |
| 3 ადგილი | ნაკონეჩნი ს., როსნიჩ პ., პოჩნიც ა. | ლატვია |


## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში, სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით. ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.
მათ ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89.**

**საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი**

空手道



## სტუდენტური სპორტი

USFRG

**ყურადღება!**

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ხელშეწყობით გამოვიდა გაზეთი „სტუდენტური სპორტი". გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ. მასში შეგიძლიათ წაიკითხოთ და გაიგოთ, როგორც სტუდენტური სპორტის, ისე მთლიანად სტუდენტების ცხოვრება-მოღვაწეობა.

ასევე დიდი სპორტის ახალი ამბები.

*იკითხეთ გაზეთი „სტუდენტური სპორტი" – გაახალგაზრდავდით!*


მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ

## XX საუკუნის დიდი ფეხბურთელები

ალფრედო დი სტეფანო:

# გმადლობთ, მოხუცო!

### ყველა და დიდი

ესპანურ ლიგაში მეხუთე ათწლეულის სეზონი „ბარსელონას“ გამარჯვებით დაგვირგვინდა. მან სულ რაღაც „მილიმეტრიანი“ უპირატესობით გაუსწრო „რეალს“ — გატანილი და გაშვებული ბურთების სხვაობით. ამის მიუხედავად, პუშკაში 26 გატანილი გოლით აღმოჩნდა ჩემი მემკვიდრე გოლეადორთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. კოპას წასვლის შემდეგ ჩვენს გუნდში გაჩნდა შავკანიანი, განმრინებელი — ბრაზილიელი დიდი. მას ბევრჯერ წარმოგვიდგენდნენ ხოლმე და ყოველთვის ძალიან საზეიმოდ. ოლონდაც: ვარსკვლავი იყო, დიდი დირიჟორი დიდი ორკესტრის — მსოფლიო ჩემპიონ ბრაზილიის ნაკრების. არავინ დაეჭვებულა მის უდიდეს ტექნიკაში, ბურთთან ფაქიზად მოპყრობაში, მაგრამ ჩვენ უფრო დამანგრეველი, მოთამაშე გვჭირდებოდა, მეტოქის შეტევის ტალღამჭრელი, ის კი ყველაზე ნაკლებად ერგებოდა ამ როლს. დიდი — პასის მოთამაშე, რომლისგანაც იწყება საიერიშო მოქმედებანი. იგი შეტევის შემკვრელია და არა შავი სამუშაოს მწარმოებელი. ესპანეთის კლუბების უფრო სწრაფ რიტმს ვერ შეეგუა. ჩვენ ოთხჯერ მოვიგეთ ევროპის ჩემპიონთა თასი და ამას მივაღწიეთ გამოცდილი ხერხის საშუალებით: ყველა მუშაობს ყველასათვის. დიდის კი ეგონა, რომ მთელი გუნდი მისთვის ითამაშებს. პირველივე დღიდან ის და მისი ცოლი, რომელიც ბრაზილიის ერთ-ერთ გაზეთში თანამშრომლობდა, არ მალავდნენ, რომ ესპანეთი არ მოსწონთ.

იგი, მაგალითად, წერდა, რომ მე არ დავეხმარე მათ მადრიდში ბინის შოვნაში. პირიქით კი იყო, ყოველმხრივ ვცდილობდი დავხმარებოდი, მახსოვდა რა თვითონ ოჯახთან ერთად რა ვაინაჩრობით გავიარე ყველა სიძნელე უცხო კონტინენტზე.

ეს მტკნარი სიცრუეა, რომ დიდის „რეალში“ არაკეთილმოსურნედ დახვდნენ, რომ ჩვენ, ყველა რასისტები ვართ, როგორც წერდა მისი ცოლი. სიმართლე მხოლოდ ის იყო, რომ თამაშით იგი ვერ მოერგო „რეალს“. არასაკმარისი კონცენტრაციის გამო მას ხშირად „მშრალზე“ სვამდნენ, აცლიდნენ უკნიდან ბურთს, რაც არ მოსწონდა ჩვენს მაყურებელს. „რეალის“ თაყვანისმცემლები განებივრებულები იყვნენ მარტო მაღალხარისხიანი თამაშით კი არა, არამედ, მოთამაშეთა თავგანწირვისა და ბრძოლის ხილვით. ეს მაყურებელი გამარჯვებას იყო მიჩვეული და რომ გაგემარჯვა, უნდა გებრძოლა კიდეც. და მაინც პატივს მივაგებ დიდის ცნობილ „ხმელ ფოთოლს“. იგი ბურთს ისე ურტყამდა, რომ ცაში აჭრილი უცებ უცნაურად კარგავდა სისწრაფეს და ზუსტად სასურველ ადგილზე დაეშვებოდა.

ვცდილობდი მიმებაძა მისთვის, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. ალბათ იმიტომ, რომ ტერფის წინა ნაწილით ვურტყამდი, ის კი ისწორებდა ბურთს და ხან შიდატერფით და ხან გარეტერფით ურტყამდა. ამას გარდა, თავის საფირმო ილეთს უძრავ ბურთზე იყენებდა მხოლოდ. ბრაზილიელები ამას პლაჟებზე მიეჩვივნენ, სადაც შეუძლებელია „ქვემოური გადაცემა“, როცა, როგორც წესი, ბურთი იფლობა სილის ორმოში. გვხიბლავდა, აგრეთვე ბრაზილიელის უნარი, სრულიად მოულოდნელად ბურთს რომ მიმართულებას უცვლიდა.

### მეხუთე ტრიუმფი

გადავალ ევროპის ჩემპიონთა თასის მეხუთე გათამაშებაზე. პირველად ლუქსემბურგის „ჟენესი“ გავიარეთ თამაშ-თამაშით. სამაგიეროდ, შემდეგ „ნიცასთან“ დიდი ოფლისღვრა მოგვიხდა. საშუალება მომცეს ძალა აღმედგინა და სტუმრად მატჩი გამოვტოვე. ადგილობრივი ხელისუფლების თხოვნით არ წავედი მანქანით იმ რაიონში სტიქიის მსხვერპლთა ხსოვნის აქტში მონაწილეობის მისაღებად. „რეალი“ დამარცხდა — 2-3, მაგრამ ბოლომდე იბრძოდა. ყოველთვის საბრძოლოდ ვიყავით განწყობილნი, უბრალოდ, მასპინძლებს ბედმა გაუღიმა: სამი მომენტი — სამი გოლი. მადრიდში ადვილად გავუსწორდით — 4-0.

ნახევარფინალში „ბარსელონა“ გვარგუნა ბედმა და დამაჯერებელი რევანში ავიღეთ ლიგაში დამარცხებისათვის, ორივეჯერ ანგარიშით 3-1 დავამარცხეთ. საპასუხო მატჩი ბარსელონაში „თბილი მიღებით“ დამამახსოვრდა, ადგილობრივმა ინჩესებმა რომ მომიწყვეს, გამყრუებელი სტვენით შემხვდნენ. „რეალში“ გადასვლა გამიხსენეს, და კიდევ, მომიზლეს ინგლისურ გაზეთში დაბეჭდილ ინტერვიუს გამო „ბარსას“ „ვულვერჰემპტონთან“ შეხვედრის წინ რომ უძღვოდა. ამაზე ადრე მოვყევი, და გავიმეორებ, ჩემი საქებარი სიტყვები „ბარსელონას“ ფეხბურთელებისადმი შეაფასეს, როგორც მეტოქისათვის საიდუმლოს გაცემა. ისიც უნდა ითქვას, რომ ბარსელონაში ყოველთვის მისტვენდნენ, მაშინაც კი, ნაკრებში რომ ვთამაშობდი და იქ იტალიელებს მოვუგეთ. რა გაეწყობა!

ტურნირის მსვლელობისას კინაღამ მწვრთნელი გამოგვეცვალა, რაშიც გარკვეული როლი მე შევასრულე. ერთ საღამოს მოვიდა სანტიაგო ბერნაბეუ და მკითხა, რას ვფიქრობ ელენიო ერერაზე.

„კარგი მწვრთნელია, — ვუპასუხე, — ნაკრების მიხედვით ვიცნობ, მაგრამ მაეჭვებს, შევძლებთ მის კონცეფციას რომ შევეწყოთ. ჩემის აზრით, ნაკლებად ცნობილი სჯობს, ძალიან ცნობილს“.

დონ სანტიაგომ თავი გააქნია, ასე იცოდა, როცა რაიმე აეჭვებდა, ამიხსნა: „რაღაცის შეცვლა მინდა, რომ ჩემპიონობა დავიბრუნოთ. მართალს არ ვამბობ?“ მე ჩემი აზრი გავაგრძელე: „რეალი“ ისეთი გუნდია, რომ ასეთი სახელოვანი მწვრთნელის გარეშეც შეუძლია ჩემპიონი გახდეს. ძლიერი გუნდი ვართ, მეგობრობით შედუღაბებული“.

როგორც მომეჩვენა, ბერნაბეუ ვერ გადავარწმუნე. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მან გუნდის საჭესთან მუნიოსი დატოვა, და მასთან ერთად მეხუთედ მოვიგეთ ჩემპიონთა თასი.

შუა სეზონში გუნდი გაძლიერდა ლუის დელ სოლით. შემდეგ მოვიდა ბეტისი, ნაკლებად ცნობილი მოთამაშე, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში დიდ მოხერხებულობასა და ოსტატობას ავლენდა. იგი ცრუ მარცხენა გარემარბს თამაშობდა იმ მოსაზრებით, რომ პრაქტიკულად მთელ ფლანგზე დასაწყისიდან ბოლომდე პასუხისმგებელი იყო. ისე შეცვალა რიალი, რომ დანაკარგი სულაც არ გვიგრძვნია. ჩვენს შემდეგ კიდევ ითამაშა იტალიაში, და ყოველთვის წარმატებით გამოდიოდა. სრულიად გამართლებული შენაძენი იყო.

ჩემს შემცვლელსაც ეძებდნენ. გასინჯეს სიმონსონი, პეპილიო. ვერ ივარგეს. ამასთან, ჰენტოსთან ერთად გატანილი გოლებით ვამტკიცებდით ჩვენს სიძლიერესა და გუნდში ყოფნის აუცილებლობას.

ფინალი გლაზგოში გათამაშდა, და 135 ათასი მაყურებლიდან ნახევარს ჩვენი გამარჯვება უნდოდა ბედნიერი შემთხვევის გამო: გერმანულმა „აინტრახტმა“ ნახევარფინალში გამოთიშა „გლაზგო რეინჯერსი“. სამაგიეროდ, მეტოქეები ჩვენზე უკეთ იცნობდნენ მინდორს.

ოთხი თასის მომგებნი, ბუნებრივია, ფავორიტები ვიყავით, მაგრამ ვიცოდით ადვილი ცხოვრება რომ არ გველოდა. გასახდელში ჩვენს თავს ვარწმუნებდით მოწოდებით: „ბიჭებო, უნდა გავიმარჯვოთ“. შეხვედრის მე-10 წუთზე უკვე ვიგებდით — 0-1, და ძელი რომ არა, შეიძლებოდა უარესი ყოფილიყო. მაგრამ ყოველი წუთი



რწმენას გვმატებდა. საფუძვლიანად „დავსახლდით“ მათ ნახევარზე და სულ მალე სისრულეში მოვიყვანეთ მუქარა. მომენტების რეალიზაცია კლასის ნიშანია. თუ ათი შევქმენით, უნდა გაგვეტანა ნახევარზე მეტი. მატერიალური უპირატესობის გარეშე თამაში უაზრობაა. ისტორია შლის მომენტებს და რჩება მხოლოდ შეგდებული გოლები. ხალხს ავიწყდება — კარგად თამაშობდი თუ ცუდად.

პუშკაშმა გაიტანა ოთხი ბურთი, მე — სამი, ამასთან, გავხსენი ჩვენი გოლების ანგარიში და გავაორმაგე შედეგი. ამ მიმზიდველი თამაშის საბოლოო შედეგი იყო 7-3. 10 გოლი ერთ თამაშში!

ინგლისსა და შოტლანდიაში შემთხვევით კი არ აჩვენებდნენ ამ მატჩს ახალი წლის დღეს რამდენიმე წლის განმავლობაში.

### სანტიაგო ბერნაბეუ

საღამოს მეხუთე ტრიუმფის შემდეგ დონ სანტიაგო ბერნაბეუმ არ დაგვრთო ნება აღგვენიშნა გამარჯვება. დავბრუნდი ჩვენს ბანაკში — გლაზგოდან 80 კილომეტრის დაშორებით. ღამის პირველ საათამდე გვერდიდან არ მოგვშორებია. ჩვეულებისდა საწინააღმდეგოდ გალეტი და ოთხ კაცზე თითო ბოთლი შამპანური მოგვიტანეს ვახშამზე. კნაოდა როიალი. საშინელი მოწყენილობა სუფევდა, თითქოს წაგვეგოს. არც სიცილი, არც სიმღერა. როგორც კი ვინმე ოდნავ ხმას აუწევდა, ბერნაბეუ სტუქსავდა: „ჩუ! ნუ ხუმრობთ, წესიერად მოიქეცით, შვედებივით“. ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ თვითონ შეგვამოწმა, ყველა თავ-თავიანთ ოთახში წავიდა და დაიძინა თუ არა.

დროა დავუბრუნდე მის პერსონას. ასაკის მიუხედავად, იყო პირდაპირი გარეგნობითა და გამოთქმებშიც. არასდროს არ ერიდებოდა ყველაზე დაბალი რანგის მოსამსახურეებთან და „რეალის“ თაყვანისმცემლებთან ურთიერთობას, თუკი ლაპარაკი ფეხბურთზე იყო. განსაკუთრებით უყვარდა შეკითხვები. ყველაფერი აინტერესებდა ფეხბურთელებზე: ვინ არის, საიდანაა, სად თამაშობდა, ცოლშვილიანია, საცოლე თუ ჰყავს... ზოგიერთისადმი განსაკუთრებულად იყო განწყობილი, მეც მათ მივაკუთვნებდი ჩემს თავს. ასევე მინდობილად ელაპარაკებოდა ჰენტოს — განწყობაზე, მეტოქეებზე, ფეხბურთის ცალკეულ მოღვაწეებზე, მსაჯებზე, იცვამდა სადად, თვითონ მართავდა თავის ციცქნა „ფოლკსვაგენს“. საღამოობით დადიოდა ერთ-ერთ კლუბში, მის სახლთან ახლოს რომ იყო, სადაც მეგობრებს ხვდებოდა. იქ ლაპარაკობდნენ მარტო ფეხბურთზე კი არა, კორიდაზეც. ამაშიც დიდი მცოდნის სახელი ჰქონდა დადებული. დამახინჯებულ ფრანგულს ლაპარაკობდა, პერიოდულად ცდილობდა გერმანულის სწავლას. წუთითაც არ თმობდა სიგარას. მაგრამ, როცა ოფიციალურ სადილებზე ან ვახშამზე გვაძლევდნენ თითო სიგარას და გვინდოდა მოგვეწია, იგი დაგვქაჩავდა, გვიკრძალავდა გაბოლებას. ძალიან უყვარდა სიტყვა „აშკარაა“ და ერთნაირად წარმოთქვამდა მას ყველა ენაზე მრავალგზის.

ზედმიწევნით გამოირჩეოდა ადამიანობითაც. ნიადაგ ზრუნავდა ჩვენზე. მაგალითად, გზად აჩერებდა ავტობუსს მაღაზიასთან და ყიდულობდა ჩვენთვის თბილ ტანსაცმელს, გვირიგებდა ვისაც იგი არ ჰქონდა. როგორც წესი, ასეთად აღმოჩნდებოდა ხოლმე დიდი. თუმცა ესპანეთშიც იყო ხოლმე ცივი ქარი და თოვლი, ჩვენი ბრაზილიელი რიო-დე-ჟანეიროში ნაყიდ ტანსაცმელში დადიოდა, ერთობ ბელურასავით მობუზული.

ბერნაბეუ და მისი მარჯვენა ხელი რაიმუნდო საპორტა ყველაფერს აკეთებდნენ საქვეყნოდ ცნობილი კლუბის პრესტიჟის შესანარჩუნებლად. ეს კი სიყვარულით მიიღწევა და არავითარ შემთხვევაში, მათრახით.

პირადად მე არასოდეს, ან თითქმის არასოდეს მქონია საფუძველი უკმაყოფილო რომ ვყოფილიყავი. პირიქით, ყოველთვის მითმობდნენ ცალკეულ წვრილმანებში. გრძელი მაისური მაღიზიანებდა, ოფლში სველდებოდა, ტრუსებზე გადმომეკიდებოდა და მოძრაობასაც მიშლიდა. ვთხოვე დაემოკლებინათ, და ჩემთვის სპეციალურად შეუკვეთეს დამოკლებული მაისური მეცხრე ნომრით.

თამაშში არაფერმა არ უნდა შეგიშალოს ხელი. მაგალითად, გრძელმა თმამ. ვუყურებ გრძელთმიან მოთამაშეებს როგორ ეფარება თვალებზე, საშუალება არ ეძლევათ სწორად რომ დაარტყან თავით. ვერ შეაგდო ბურთი მხოლოდ იმიტომ, რომ თმამ შეგიშალა, — მე არ ვიცი, რას ვუზამდი ასეთ მოთამაშეს.

კონტრაქტებსა და ფულზე კლუბში მიღებული არ იყო მასზე მსჯელობა. მაგრამ ყველასათვის ცნობილი იყო, რომ კარგად გვიხდიდნენ იმ დროისათვის. მხოლოდ გვაღიზიანებდა ის, რომ კალათბურთელებს მეტს უხდიდნენ, თუმცა მათ გაცილებით ნაკლები გამარჯვებები ჰქონდათ. და კიდევ — ტყუილად ვიწოდებოდით „რეალ-მადრიდ კლუბ და ფუტბოლ“? მოგვიანებით სამართლიანობა აღსდგა. კლუბმა საერთოდ უარი თქვა სპორტული დისციპლინების რიგში რომ ირიცხებოდეს, რამდენადაც იგი სერიოზულ ზარალს აყენებდა ბიუჯეტს, და დანაზოგი თანხა ფეხბურთის სტადიონის რეკონსტრუქციისათვის გადარიცხა. თუმცა დანარჩენმა სპორტულმა დისციპლინებმა შესანიშნავი ქალაქი — სიუდად დეპორტივო მიიღეს.

### პირველი დამარცხება

გამარჯვება მუდმივად არ მოდის, და ხუთი წლის უწყვეტი ტრიუმფის შემდეგ „რეალ-მადრიდმა“ ევროპის საუკეთესო კლუბების თასის მეექვსე ტურნირში წაიფორხილა. და ვილაცასთან კი არა, „ბარსელონასთან“ წავაგეთ. მაგრამ ჯერ ჩვენ ავიღეთ რევანში ლიგაში და „ატლეტიკო მადრიდთან“ თორმეტქულიანი სხვაობით ჩემპიონები გავხდით. პუშკაშს კვლავ არ ჰყოლია ტოლი გოლეადორთა დავაში — 26 ბურთი, მე მეორე — 21. „ბარსასთან“ 1/8 ფინალში დამარცხებას ბევრი მოპარულ გამარჯვებად მიიჩნევდა. მე ასე არ ვიტყოდი. „ბარსელონა“ ღირსეული მეტოქეა. მაგრამ ისიც მართალი იყო, რომ ორივე მატჩი უაღრესად სკანდალური გამოდგა. ორი გოლი არ ჩაგვითვალეს და ორი სრულიად აშკარა პენალტი არ მოგვცეს. კერძოდ, სტუმრად. მსაჯობამ ამოგვაგდო კალაპოტიდან, ეს კი არ უნდა მოსვლოდა მაღალი კლასის გუნდს.

მივმართავ ფაქტებს. „ბერნაბეუზე“ გვმსაჯობდა ინგლისელი ელისი. მიგვყავდა — 2-0 და დავამთავრეთ — 2-2 პენალტის წყალობით, რომელიც არ ყოფილა. რა მოხდა? თამაშგარე მდგომარეობა იყო. ბარსელონაში არ შეგვაგდებინეს, სულ ცოტა, სამჯერ. მსაჯობდა კი, ისევ ინგლისელი — ლიიფი. განა ღირდა ასე რომ ეხმარებოდა „ბარსას“? ჩვენ ორი თანაბარი გუნდი ვართ. ხან კატალონიელები აღმოჩნდებიან ჩვენს აჩრდილებად, ხან ჩვენ — მათი აჩრდილი ვართ.

თამაშის შემდეგ გამართულ ერთობლივ ვახშამზე, გავცვალეთ საჩუქრები. მსაჯებზე კი გული ვიჯერეთ. მათ გამორკვევა დაიწყეს, ვინ ვიყავით, ვითომ არ გვიცნობდნენ, და მოწმეებად „ბარსელონის“ წარმომადგენლებს უხმეს, მათაც ისეთი სახე მიიღეს, ვითომ პირველად გვხედავდნენ.

ფინალს ტელევიზორში ვუყურებდით და, თუმცა ჩვენი მაწყინარი თამაშობდა, მაინც „ბარსელონას“ ვუჭერდით მხარს. ვთვლით გაუმართლა „ბენფიკას“. პორტუგალიელებმა გამოიყენეს ყველა მომენტი, კატალონიელთა მეკარემ რაგალეტსმა კი გაუშვა ყველაფერი, რაც კი კარის ფარგლებში მოხვდა — 2-3. მომდევნო სეზონში მარტო რევანშზე ვფიქრობდით. იმდენად ჩვენად მიგვაჩნდა ჩემპიონთა თასი. ჯერ უპრობლემოდ ვძლიეთ უნგრეთის „ვაშაშს“. სინამდვილეში პრობლემა ყოველთვის არის. ბუდაპეშტში მინდორზე გამოსვლა ვერ შეძლო პუშკაშმა. რამდენადაც იგი უნგრეთიდან იყო გაქცეული, მას ქვეყანაში შესვლის უფლება არ მისცეს. სამაგიეროდ, ორივე შეხვედრაში ისახელა თავი ტეხადამ. „რეალში“ იგი ჩემი შუამდგომლობით მოხვდა. „სევილიაში“ გადასულ კანარიოს შემცვლელი ესაჭიროებოდა, და იგი შევთავაზე გუნდს. ტეხადამ „ბერნაბეუზე“ ესპანეთის ნაკრებში ჩრდილო ირლანდიის წინააღმდეგ ოთხი გოლი გაიტანა — რაოდენობითაც და ხარისხითაც, — დაუჯერებელი, ფლანგის თავდამსხმელისაგან. იგი „ბარსელონაში“ თამაშობდა, მაგრამ იქ მთლად ვერ აეწყო საქმეები, თავისუფალი აღმოჩნდა. დახმარება მთხოვა, და ორიოდე სიტყვა შევაწიე. ბერნაბეუ დამთანხმდა. არ შევმცდარვართ. როცა „ბარსელონაში“ გაიგეს, რომ იგი სადმე კი არა, „რეალში“ მიდიოდა, ხრიკების დადება დაუწყეს. მოითხოვეს კომპენსაცია. ვფიქრობ, ბერნაბეუ ამაზეც წავიდა. ტეხადამ „ვაშაშს“ ორ მატჩში სამი ბურთი შეუგდო (მე — ორი), მაგრამ ჩვენთან დიდხანს არ უთამაშია. ვერ გაუძლო კონკურენციას, ამასთან, აქილევსის მუესი დაუშავდა. დაბრუნდა „ბარსელონაში“, შემდეგ ერთხანს „ესპანიოლში“ დაჰყო... იცით, რაზე ვლაპარაკობ? — მტკიცე ნებისყოფისა უნდა იყო და ბედიც გწყალობდეს, კონკურენციის გასაძლებად. „ვაშაშთან“ მარცხენა ფრთაზე მანოლინ ბუენო გამოდიოდა. ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა ჰენტო სათადარიგოთა სკამზე იჯდა — იგი არასოდეს დაშავებულა. და მანოლინმა გვაჩვენა, რომ ძალიან ბევრი შეუძლია — ტექნიკა, სისწრაფე, მოძრაობა. მას საპონივით სიპ ბურთს გაუჭრი, იგი, უბრალოდ, დაიმორჩილებს.

ჰენტო იყო მისი ერთადერთი პრობლემა. აი რატომ აღმოჩნდა იგი მდგომარეობის დროებითი ბატონ-პატრონი.

1/8 ფინალში დანიურ კლუბ „ოდენსეს“ დავუპირისპირდით. ბერნაბეუზე ცხრა გოლი გავიტანეთ (მე — სამი), სულ კი თორმეტი „მშრალი“ ბურთი. ადვილი გასეირნება „იუვენტუსის“ წინ მათ ლიდერ სივორიანად. პირველ მატჩში გოლი გავიტანე და გავიმარჯვეთ — 1-0.

ტურინში სასტვენამდე მანიფესტთაგან დატყვევებულები ვიჯექით ოტელში. ჩვენი პოლიტიკის უკმაყოფილონი, ფრანკოს რეჟიმს ამტყუნებდნენ. მეხსიერება თუ არ მღალატობს, ისინი პროტესტს გამოთქვამდნენ ხულიან გრიმეოს დასჯის გამო, ესპანეთში მას ეკლესიაც გამოექომაგა, პატიებას ითხოვდა.

ბოლოს და ბოლოს, სამხედროებმა გზა გაგვიხსნეს სტადიონისკენ. ფათერაკი ამით არ დამთავრებულა. იტალიელები მსაჯივით შავებში გამოწყობილნი გამოვიდნენ, და არაფრით არ აპირებდნენ ფორმის გამოცვლას. ახლა ასეთი რამ შეუძლებელია, მაგრამ მაშინ თამაში დავიწყეთ. მეორე ტაიმში მსაჯმა დათმო ნაწილობრივ და შავი ტრუსი იისფერით შეიცვალა. ტურინელები ირწმუნებოდნენ, რომ სხვა ფორმა მათ არა აქვთ. და ეს შინ!... ერთი კვირის შემდეგ გავიგეთ, რომ ფრანგმა არბიტრმა აღიარა თავისი შეცდომა და გადადგა.

„იუვენტუსმა“ წმინდა წყლის „კატანაჩიო“ წარმოადგინა, სივორიმ კი თავისი საქმე გააკეთა. 0-1, და მესამე მატჩი გველოდა პარიზის „პარკ დე პრენსზე“. ძალიან კარგად ვითამაშეთ და გავიმარჯვეთ 3-1. შემდეგ ვახშამზე აყალმაყალი ატყდა. სივორი, მთელი მატჩი რომ ლანძღავდა სხვებსა და თავისიანებს, შეუჩნდა დელ სოლს, რომ იგი განზრახ ცდილობდა მის დაშავებას. იქამდე მივიდნენ, რომ მტყუანმართალს ქუჩაში გაარჩევდნენ. „სადღა მიდიხართ, როცა ყველაფერი დამთავრებულია?“ — ვცადე დამეშოშმინებინა. მაგრამ ახლა უკვე დელ სოლმა იფეთქა. ვახშმის შემდეგ მივიდა იტალიელების ავტობუსთან და სათითაოდ ყველას საჩხუბრად იწვევდა. სასწაულად გადავურჩით ჩეხვას.

*(გაგრძელება იქნება)*

დასაწყისი იხ. „ლელო“ №72-79

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიხაელ შუმახერისთვის ძმის დაქორწინება მოულოდნელი იყო

მიუხედავად იმისა, რომ ფორმულა 1-ის ცნობილ მრბოლებს ძმებს მიხაელ და რალფ შუმახერებს შესანიშნავი ურთიერთობა აქვთ, რალფის დაქორწინების ამბავი ძმისთვის მოულოდნელი იყო. რალფმა ტოპმოდელი კორი ბრინკმანი შეირთო ცოლად, რის შესახებ მიხაელმა მოულოდნელად, შვეულმფრენში შეიტყო. „ცოლს ვირთავ, შეგიძლია მომილოცო“ – აცნობა ძმამ. „თუმცა არაფერი ვიცოდი, მე და ჩემი მეუღლე კორინა ბედნიერები ვართ ახალშეუღლებულთა გამო“ – თქვა მიხაელმა (სურათზე რალფი და მისი მეუღლე კორი).









## კარმაზინი შეხვდება დე ლა ხოიას

კუზნეცკელი მოკრივე რომან კარმაზინი 8 დეკემბერს ვბს-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს შეეცილება ახლანდელ ჩემპიონს ოსკარ დე ლა ხოიას. კარმაზინმა მოიგო ბოლო 24 შეხვედრა და პრეტენდენტის უფლება მოიპოვა. ხოიამ კი თავის მხრივ წლეულს ერთხელ უკვე დაიცვა თავისი ტიტული, როცა 12-რაუნდიან პაექრობაში სძლია ესპანელ ხავიერო კასტილიოს.

## ლეო კირხმა „ფორმულა-1“ შეისყიდა



ლეო კირხი გერმანელი მედიამაგნატი გახლავთ. ამიერიდან მის ხელშია „ფორმულა 1“-ში მსოფლიო ჩემპიონატის საკონტროლო პაკეტი. ამ საუკუნის ბოლომდე მისავე განკარგულებაში რჩება აგრეთვე ჩემპიონატის ტელეტრანსლაციის უფლება. აქციების 58, 3 პროცენტი ახალი მეპატრონისაა, 25 პროცენტი დამფუძნებელს რჩება. კიდევ 16,7 პროცენტი ტელეკომპანია ემ-ტვ-ს, ამასთან, ამ ტელეკომპანიამ და კირხმა შექმნეს ერთობლივი კომპანია „სრეედი“, ერთიანი 75 პროცენტის სამართავად. მარტში კირხმა სატელევიზიო პარტნიორებს სასამართლოს ძალით ჩამოართვა ერთი მილიარდი დოლარი, რაც თანამედროვეობის უპოპულარეს ავტორბოლაში დაიბანდა... მთელი 100 წლით. მთავარი ამ გარიგებაში მაინც ისაა, რომ „ფულს, ფული მოაქვს“.

## მენდოსა ვბა-ს 2005 წლამდე უთავკაცებს

ბანგკოკში მიმდინარეობს კრივის მსოფლიო ასოციაციის კონგრესი. გუშინ კონგრესის პირველი მთავარი ამბავი გახდა ცნობილი ჟილბერტო მენდოსას კიდევ ოთხი წლით არჩევა ვბა-ს თავკაცად.

## პროფესიონალ მოკრივეთა შეხვედრები

***12 ოქტომბერი. ინდიო (აშშ).*** რონალდ რაიტი (41-3) – რობერტ ფრეზერი (21-4-2).

ბრძოლა იბფ-ის ჩემპიონის ქამრისათვის ქვესაშუალო წონაში (69,855 კგ-მდე).

***13 ოქტომბერი.*** კოპენჰაგენი (დანია). მაიკ ტაისონი (48-3) – ბრაიან ნილსენი (62-1).

***14 ოქტომბერი.*** ტბა. ადან ვარგასი (36-2-1) – ეიდი მოია (14-1) ვბა-ს ჩემპიონის ქამრისათვის. უმჩატესი წონა (53,525 კგ-მდე).

## ევროლიგა

**დაიწყო ევროლიგის გათამაშება. გუნდები დაყოფილი არიან 4 ჯგუფად. თითო ჯგუფში გაერთიანებულია 8 გუნდი. გაგაცნობთ ჯგუფების შემადგენლობას.**

**A ჯგუფი:** ბენეტონი (იტალია), მაკაბი (ისრაელი), ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი); ეფეს პილსენი (თურქეთი), ალბა (გერმანია), უნიკახა (ესპანეთი), შლიონსკი (პოლონეთი), შარლერუა (ბელგია).

**B ჯგუფი:** კინდერი (იტალია), ბარსელონა (ესპანეთი), ულქერი (თურქეთი), ჟალგირისი (ლიტვა), ოლიმპია (სლოვენია), პერისტერი (საბერძნეთი), სკაილაინერი (გერმანია), ლონდონ ტაუერსი (ინგლისი).

**C ჯგუფი:** პანათინაიკოსი (საბერძნეთი), რეალი (ესპანეთი), ცსკა (რუსეთი), პოორტეზი (საფრანგეთი), ტიმსისტემი (იტალია), ზადარი (ხორვატია), ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია), კრკა (სლოვენია).

**D ჯგუფი:** ურალ-გრეიტი (რუსეთი), სკავოლინი (იტალია), პარტიზანი (იუგოსლავია), ციბონა (ხორვატია), ტაუგრესი (ესპანეთი), აეკ (საბერძნეთი), ვილერბანი (საფრანგეთი), ოსტენდე (ბელგია).

### გაიმართა პირველი ტურის შეხვედრები:

**D ჯგუფი:** ურალ-გრეიტი – სკავოლინი 99:88.
ვილერბანი – აეკი 86:84 (დ.დ.).
პარტიზანი – ოსტენდე 86:77.
ციბონა – ტაუგრესი 96:95 (დ.დ.).

**A ჯგუფი:** ოლიმპიაკოსი – ეფესი 87:72.
ბენეტონი – უნიკახა 98:94 (დ.დ).
შარლერუა – შლიონსკი 53:71.

**C ჯგუფი:** კრკა – ზადარი 91:94.

## საჩოგბურთო ტურნირები

**ვენასა და ლიონში დაიწყო დიდი საჩოგბურთო ტურნირები. ვენაში პირველი სენსაცია უკვე მოხდა — პირველსავე წრეში რუსეთელი ევგენი კაფელნიკოვი დაამარცხა და შეჯიბრებიდან გამოთიშა ნაკლებად ცნობილმა ჩეხმა ბოგდან ულიგრახმა. კაფელნიკოვმა ეს მარცხი ჩოგბურთის ბურთების სიმძიმეს და კორტთან შეუთავსებლობას დააბრალა.**

**ლიონში მიმდინარე ტურნირის პირველ წრეში თანამემამულე კაფელნიკოვისგან განსხვავებით, წარმატებით იასპარეზა მარატ საფინმა, რომელმაც არგენტინელ ფრანკო სკილიარს სძლია და მეორე წრეში გავიდა. ვინც ამ ტურნირში 8 უძლიერესს შორის ადგილს დაიმკვიდრებს, „მასტერსისის“ თასზე იასპარეზებს ამ წლის ბოლოს, სიდნეიში.**

**საფინმა წუხელ მეორე შეხვედრაც მოიგო და მეოთხედფინალში გავიდა.**

## გაუმჯობესდა 13 წლის წინანდელი რეკორდი

გიტში 1500 მ-ზე (რბოლა ადგილიდან) შეჯიბრებებზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს ფრანგმა ველოსიპედისტებმა არნო ტურნანმა და არნო დიუბლემ, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ ტრეკზე ბოლივიის ქალაქ ლა-პასეში. დიუბლემ 500 მეტრიანი მონაკვეთი 25,850 წ. დაფარა და გადააჭარბა ადრინდელ მიღწევას, რომელიც 1988 წლიდან რუსეთელ ალექსანდრ კირიჩენკოს ეკუთვნოდა (26,649). ტურნანი კი პირველი ველომრბოლი გახდა მსოფლიოში, რომელიც კილომეტრიან დისტანციაზე წუთიდან „გამოძვრა“. ახალი რეკორდი 58,875 წ. უდრის. ძველი რეკორდიც მასვე ეკუთვნოდა, რომელიც შარშან დაამყარა მეხიკოში (1.00,148).

## ფრენბურთის მოედანი შეიძლება დაპატარავდეს

**ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა 2002 წლისათვის პლაჟბურთში მსოფლიო ტურის მატჩების ჩატარების შესახებ. ლოზანაში გამართულ ფედერაციის კონგრესზე დამტკიცდა მონაწილე გუნდები. ვაჟებში ესაა: შვეიცარია, ნორვეგია, კანადა, პორტუგალია, შვეცია, ესპანეთი და ბრაზილია, ქალებში — შვეიცარია, ნორვეგია, საბერძნეთი, იაპონია, ესპანეთი და ბრაზილია. მოლაპარაკება მიმდინარეობს საფრანგეთის, ავსტრიის, გერმანიის, იტალიის, ავსტრალიის და ჩინეთის მონაწილეობის თაობაზე. მატჩები, სავარაუდოდ, ვაჟებისთვის ივნის-ოქტომბერში ჩატარდება, ქალებისთვის ივნის-ნოემბერში. ცხადია, იგულისხმება 2002 წელი.**

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**12 ოქტომბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.20), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10.45, 20.00), ***ESPN.*** ფეხბურთი: მსოფლიო თასი, მიმოხილვა (08.30), უმაღლესი ლიგა. პლეიოფი (14.30), ინგლისის ჩემპიონატი: „ნიუკასლი“ – „მანჩესტერი“ (02.30), ჩემპიონთა ლიგა. „ფეიენოორდი“ – „ბაიერნი“ (05.30). ***EUROSPORT.*** ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი საგზატკეცილო რბოლაში (13.30, 15.30, 16.00, 19.30, 3.15), ფეხბურთი. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. აზიის ზონა: ირანი – ერაყი (0.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (2.15). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: „სპარტა“ – რუსეთის „სპარტაკი“ (14.30), მიმოხილვა (16.45), „პორტუ“ – „იუვენტუსი“ (17.25), „ფეიენოორდი“ – „ბავარია“ (19.35), „ბარსელონა“ – „ლიონი“ (22.55), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ევროლიგა (15.10), ტაილანდური კრივი (17.45).

**13 ოქტომბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***РТР.*** „ფორმულა-1“, გრან-პრი (2.10). ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი: „ლივერპული“ – „ლიდსი“ (15.50, პირდაპირი), მიმოხილვა (18.00, 21.15, 03.30, 05.30), ჩემპიონთა ლიგა. „ფეიენოორდი“ – „ბაიერნი“ (23.30), ***EUROSPORT.*** ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი საგზატკეცილო რბოლაში (13.00, 16.30, 17.00, 19.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.00). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა. „პორტუ“ – „იუვენტუსი“ (13.15), მსოფლიო ფეხბურთი (16.20), გერმანიის ჩემპიონატი (19.50), იტალიის ჩემპიონატი (23.25). ***НТВ плюс спорт.*** ძიუდო: საერთაშორისო ტურნირი. გრან-პრი, ნახევარფინალი (16.25), ფინალი (19.25), „დიდი რინგი“ (22.10), წრიული ავტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი სპორტული ავტომობილებით (0.10).

**14 ოქტომბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (23.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (12.25), მსოფლიო ფეხბურთი (19.35), ***ESPN.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (16.00), ინგლისის ჩემპიონატი: "ბლეკბერნი" – „ვესტ ჰემი“ (17.50, პირდაპირი), „ასტონ ვილა“ – „ფულჰემი“ (20.00, პირდაპირი), „ლივერპული“ – „ლიდსი“ (04.30), მსოფლიო თასი. მიმოხილვა (22.30). ***EUROSPORT.*** ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი საგზატკეცილო რბოლაში (13.00, 13.15, 13.45, 15.30, 17.00). სპორტი. ახალი ამბები აშშ-დან (23.45, 2.45, 4.00). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (14.55, 20.25), იტალიის ჩემპიონატი (18.15, 23.25), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (22.20). ***НТВ плюс спорт.*** წრიული ავტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (18.35), ცხენოსნობა (წერთნა), მსოფლიო თასის ეტაპი (22.25), ტაილანდური კრივი (23.35).

## კროსვორდი №80



**თარაზულად:** 3. პროფესიონალი მძიმეწონოსანი მოკრივე, 4. „მილანის“ პორტუგალიელი ლეგიონერი რუი ..., 6. „იუვენტუსის“ ფრანგი ლეგიონერი, 8. ტანვარჯიშული იარაღი, 10. ცნობილი ქართველი მოჭადრაკე ქალი, 11. ინგლისელი ფეხბურთელი, 12. პრემიერ-ლიგის გუნდი, 13. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი, 14. ცნობილი ინგლისელი მორბენალი, სტაიერი, 17. მურთაზ ხურცილავას სოფელი, 19. ვეტერანი ფრანგი ვაჟი ჩოგბურთელი, 20. არგენტინის საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 23. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 24. რჩეულ სპორტსმენთა ერთობლიობა, 25. ტანვარჯიშული იარაღი, 26. ძალოსანთა ინვენტარი.

**შვეულად:** 1. სპორტის სახეობა, თამაში ბურთულების გამოყენებით, 2. წარსულში ცნობილი ქართველი წყალბურთელი, შემდეგ თამაშობდა მოსკოვში, 5. წარსულში ცნობილი საფეხბურთო მსაჯი ბალტიისპირეთიდან, 7. სოკ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტი, 9. რითაც სპორტსმენთა შედეგი ფასდება, 15. ინდოელი მოჭადრაკე ვაჟი, დიდოსტატი, 16. ნბა-ს ერთ-ერთი ლეგენდარული კალათბურთელი, 18. ფიზიკურად ზორბა, აწოწილი, 21. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 22. სრული მარცხი.

### კროსვორდი №79 ● პასუხები:

**თარაზულად:** 7. ფეოლა, 8. მახარაძე, 9. ანანდი, 11. სკუდეტო, 12. აკრი, 13. „ლილი“, 14. „მარსელი“, 15. ბაგირი, 19. ინოკი, 21. ჩარლტონი, 23. შამონი, 24. „ნანტი“, 26. „ამიცა“.
**შვეულად:** 1. კოკა, 2. ფანდი, 3. „მარსელი“, 4. ბა, 5. კარელინი, 6. ვერონი, 10. ნოკდაუნი, 16. ატლანტა, 17. რინგი, 18. „მალმიო“, 20. კორტი, 22. ანი, 25. ლი.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომრის საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა – ნადიშამათი 2 სვლაში (სამი ამოხსნა)**

**I ამოხსნა**
1. კf8 კd5 2. კd6 ლg5X.

**II ამოხსნა**
1. კf6 კf5 2. ლf4 ლc5X.

**III ამოხსნა**
1. კh6 ლa3 2. კf4 ლe7X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, 8. ..ოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX ● „ლელოს“ კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.